პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მაგრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მიწოდებით—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩვეულებრივი ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩვეუ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ ორ საათ.

№ 36 (888) ოთხშაბათი, 13 თებერვალი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 36 (888)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

ათინაში (საბერძნეთი) მთავრობამ გააძლიერა ჯარი, რადგან მოსალოდნელია მონარქისტების გამოსვლა.

ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც განიხილავს საჰაერო შეიარაღების შემცირების საკითხს.

ბალდვინი, ინგლისის მთავრობის ყოფილი პრემიერ მინისტრი, კონსერვატორების პარტიის მიერ არჩეულ იქნება ბელადად.

უცხოეთში მყოფ რუსებს შორის ძლიერდება ლტოლვა რუსეთისაკენ.

პოლიტ-კატორღელთა სრულიად საკავშირო ყრილობა გაიხსნება 12 მარტს.

საქ. კომპარტიის ცკას პლენუმი

შაბათს, 16 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის ბინაზე (რუსთაველის პრ., 22) შედგება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის გაფართოებული

პლენუმი

სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივნებთან ერთად.

ცენტრალურ კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ცენტრ. კომიტეტის მდივანი მ. კახიანი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა, რომ

მორიგ პარტიულ დღეს,

პარასკევს 15 თებერვალს, ყველა იაჩეიკებში დღის წესრიგში დასმული იქნეს საკითხი:

1. სრულიად საკავშირო მე-13-ე პარტიულ კონფერენციის შედეგები.
2. ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანები.

მასალებათ გამოყენებული იქნეს: ამხ. რიკოვის მოხსენება საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე, კამათი და რეზოლიუცია მოხსენების გამო („კომუნისტი" 1 და 3 თებერვლის ნომერი).

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი

სეით დევდარიანი და საქართველოს მენშევიზმი

„საქართველოს სოციალ-დემოკრატია... დღეს საქართველოს მშრომელი მასებისა და მთელი ერისათვის დამღუპველ გზაზე. პარტიის პრინციპი—დემოკრატიზმის საშუალებით სოციალიზმისაკენ—უკვე გაივსო რეაქციონური შინაარსით და როცა მე მესმის პარტიის სახელით, რომ ის მომავალშიც იმავე გზით წავა, მე არ შემიძლია არ გავწყვიტო კავშირი ამ პარტიასთან".

„მოვუწოდებ თვითეულ მუშას, გლეხს, თვითეულ მენშევიკს გადაჭრით უარყოს ეს გზა და საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის ააფრიალოს პროლეტარიატის დიქტატურის დროშა"...

„მივმართავ და ვეუბნები ყველას, ვინც გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან,—დე, ნუ იქნება რყევა თქვენს რიგებში, დე, ნუ შედრკება თქვენს ხელში პროლეტარიატის დიქტატურის დროშა, შემოკრებით ამ დროშის გარშემო. მე ვიქნები თქვენთან."

ასე სწერს საქართველოს მენშევიზმის ერთი ბელადთაგანი, სეით დევდარიანი, თავის „საბოლოო სიტყვაში" იმის შესახებ, თუ „რა ვქნათ"? ე. ი. როგორ გზას უნდა დაადგენ საქართველოს მენშევიკები.

თუმცა დაგვიანებით, მაგრამ ნათლად და გადაჭრით, ერთი საღად მოაზროვნე და ცნობილი ბელადი საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) მენშევიზმისა, ჩვენთან კომუნისტებთან ერთად, აღიარებს დაბოლოს მთელ რიგს ჩვენი ძველი დებულებისას საერთოთ მენშევიზმისა და კერძოთ საქართველოს მენშევიზმის შესახებ. რუსეთის მენშევიზმის ბელადებთან, მარტინოვთან, როჟკოვთან, სემკოვსკისთან, მაისკისთან და სხვებთან ერთად დევდარიანი დაგვეთანხმა დაბოლოს იმაში, რომ კლასთა ბრძოლის იმ პერიოდში, როდესაც ისტორიამ დღის წესრიგში დააყენა კითხვა პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალა-უფლების დაპყრობისა და შენარჩუნებისა, როდესაც სწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება ორ მსოფლიოს შორის—ლოზუნგი დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ (დაპირისპირებული მეორე ლოზუნგთან: დიქტატურა პროლეტარიატისა) იქცევა და გადაიქცა კიდევაც ავსებული რეაქციონური შინაარსით და დროშა ამ ლოზუნგის—კონტრ-რევოლიუციონურ დროშათ. ეს განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი სიცხადით გამოაშკარავდა საბჭოთა კავშირის და კერძოთ საქართველოს მენშევიკების „მოღვაწეობის" მაგალითზე.

ინტერვენცია—გარედან, ბანდიტიზმი—შიგნით—აი გზა ამ ლოზუნგის მიმდევრების, აი გზა მათი, ვინც ებრძვის მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას. ეს შეიგნეს დევდარიანზე ადრე, ყოველ შემთხვევაში იმაზე ადრე სთქვეს ეს ყოფილი მენშევიკური პარტიის მიმდევარმა მუშებმა და გლეხებმა, რიცხვით თორმეტ ათასზე მეტმა კაცმა და გამოიყვანეს კიდევაც ამ დებულებიდან სათანადო დასკვნა: მათ დაჰგმეს მენშევიზმი და „დემოკრატია", მტკიცეთ დადგენ პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე, ამოუდგენ გვერდში კომუნისტურ პარტიას, ააფრიალეს კომინტერნის დროშა, გამოაცხადეს გაუქმებულად საქართველოს მენშევიკური პარტია.

სეით დევდარიანი მიმართავს დღეს მისი ყოფილი პარტიის ყოფილ მიმდევრებს და ეუბნება მათ: მტკიცეთ იდექით თქვენ ახალ პოზიციაზე, მეც თქვენთან ვარო.

თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც გადაჭრით სეით დევდარიანმა სთქვა რევოლიუციონური სიტყვა. ჩვენ ყოველი საბუთი გვაქვს მოველოდეთ მისგან ასეთივე რევოლიუციონურ საქმეს ჩვენი მშრომელი ხალხის საბოლოო გამარჯვებისათვის.

მენშევიზმი უნდა მოკვდეს მსოფლიოს მასშტაბით, რომ რევოლიუციამ იცოცხლოს, პროლეტარიატმა გაიმარჯვოს საბოლოოთ თავის მოსისხლე მტრებზე.

იტალიისა და საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება

ანტანტის გარეგნულად მთლიანი ფრონტი, მიმართული საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, დღეს ფაქტიურად იმყოფება რღვევის პროცესში: ინგლისის გზას იტალიაც გაჰყვა და მუსოლინის მთავრობამ იურიდიულად იცნო საბჭოთა კავშირი და შესაფერისი პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა მასთან მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის დასაჭერად.

იტალიის მხრით საბჭოთა კავშირის ცნობას ჩვენთვის აქვს უმთავრესად საერთაშორისო პოლიტიკური წონის ღირებულება. დღემდე ანტანტის მოკავშირენი ფორმალურად გაერთიანებული ფრონტით გამოდიოდენ საბჭოთა რესპუბლიკების საკითხში და ვერცერთი მათგანი ვერ ბედავდა გადაჭრით გადაედგა ნაბიჯი და სხვისგან დამოუკიდებლათ ეცნო საბჭოთა კავშირი. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისისა და იტალიის ინტერესები საკმაოდ შელახული იყო რუსეთის საერთაშორისო ბაზრებიდან გამორიცხვითა და მის ირგვლივ ეკონომიური ბლოკადის შემოვლებით, ამ ორ სახელმწიფოს მაინც 3—4 წელი დასჭირდათ „ვაჭრობის" წარმოებისათვის საფრანგეთთან, რომ როგორმე დაეთანხმებინათ უკანასკნელი საბ. კავშირის ცნობის საქმეში. ასეთმა ცდებმა უნაყოფოდ ჩაიარეს იტალიასა და ინგლისის პოლიტიკოსებს: პუანკარეს იმპერიალისტურმა მისწრაფებებმა შეუძლებელი გახადეს საბჭოთა რესპუბლიკების საკითხში შეთანხმების მიღწევა ანტანტის „სახელმწიფოთა" შორის და მათი ფრონტიც დაირღვა.

მაგრამ ინგლისისა და იტალიის დღევანდელი პოლიტიკა, ერთის მხრით, თუ ფაქტიურად შლის ანტანტის კავშირსა და ამით ასუსტებს ჩვენს ირგვლივ შემორტყმულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ძალას, ამ პოლიტიკის მეორე პოლიუსზე მოსჩანს საერთაშორისო ძალთა ახალი გადაჯგუფების შესაძლებლობა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური წონის გასადიდებლად.

ინგლის-იტალიის დღევანდელი პოლიტიკა მიმართული არის აგრეთვე საფრანგეთის მომწყვდევისაკენ ჩიხში; აღნიშნული სახელმწიფონი საბჭოთა კავშირთან სამეურნეო ურთიერთობის განმტკიცებით ცდილობენ ერთგვარი ეკონომიური რკალი შემოარტყან საფრანგეთსა და ამით ალაგმონ მისი მადა. ამ ბრძოლის ფონზე უმთავრესად ეკონომიური ფაქტორები მოსჩანან: საბჭოთა კავშირი, რომელიც მდიდარია თავისი ნედლი მასალითა და სურსათ-სანოვაგით და რომელიც მასთანვე უდიდესს ბაზარს წარმოადგენს ევროპის საქონლის გასასაღებლად და კაპიტალის ასამოძრავებლად, საკმაოდ მოზრდილ პერსპექტივებს უშლის ინგლისისა და იტალიის კაპიტალისტებს. დაპყრობა ამ ბაზრის და მასთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის გაბმა—ეს შეადგენს მორიგ ამოცანას ინგლისისა და იტალიისას. ამ გეგმების სისრულეში მოყვანა ნიშნავს დიდ საფრთხეს საფრანგეთისათვის და მის განმარტოებით დატოვებას.

საფრანგეთის პოლიტიკოსები და იმპერიალისტური წრეები დღეს უმთავრესად იბრძვიან ევროპაში ბატონობის მოსაპოვებლად. ამ მიზნით ისინი სისტემატიურად ავიწროებენ და ფიზიკური დაუძლურებით ემუქრებიან გერმანიას, კრავენ მჭიდრო კავშირს მცირე ანტანტის სახელმწიფოებთან, თავიდან-ფეხებამდე იარაღში სხდებიან და სამხედრო დიქტატურით ემუქრებიან ევროპას. საფრანგეთის ასეთი პოლიტიკა არსებითად საზიანო და დამღუპველი არის როგორც ინგლისის ინტერესებისათვის, ისე იტალიის მიზნებისათვის. იტალია-საფრანგეთის კონფლიქტის მთავარ ბაზას შეადგენს ბრძოლა ხმელთაშუა ზღვის დაპყრობის გარშემო და მასზე საკუთარი დიქტატურის განმტკიცების სურვილი. ხმელთაშუა ზღვას მეტად ფართე ადგილი უჭირავს საფრანგეთის გეგმებში: ამ ზღვაზე საფრანგეთის სამხედრო და ეკონომიური დიქტატურის განმტკიცება ნიშნავს საფრანგეთის იმპერიალისტების ხელში თავის მოყრას მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო გზებისა და პოლიტიკური ბატონობის დამკვიდრებას ჩრდილოეთ-ამერიკაში. საფრანგეთის იმპერიალისტების ასეთი გეგმები მიუღებელია ინგლისისა და იტალიის ინტერესებისათვის. თანამედროვე იტალია, რომელიც არა ნაკლები იმპერიალისტური გეგმებით გამოვიდა ომის შემდეგ, ასე ადვილად ვერ ურიგდება და ვერ შეურიგდება საფრანგეთის მისწრაფებას. მაგრამ საფრანგეთმა მას ზურგით „მაგარი მუშტი" დაუპირისპირა მცირე ანტანტის სახით: განსაკუთრებით კი საფრანგეთის ყურმოჭრილ სახელმწიფოდ გადაიქცა სამხრეთ-სლავია, რომლის ინტერესები ადრიატიკის სანაპიროებისა და სტრატეგიულ პუნქტების დაუფლების საკითხში საკმაოდ დაუპირისპირდა იტალიის გეგმებს.

თუ პოლიტიკურად იტალიას ასეთი ინტრიგებით ემუქრება საფრანგეთი, ეკონომიურად მისი პოლიტიკა პირდაპირ დამღუპველი აღმოჩნდა იტალიის ინტერესებისათვის. საფრანგეთის იმპერიალისტების მტრულმა დამოკიდებულებამ საბჭოთა კავშირისადმი და ეკონომიურმა ბლოკადამ ფაქტიურად დაუკეტა იტალიის კაპიტალისტებს ის გზები და მიმართულებანი, რომლითაც სწარმოებდა იტალიის ვაჭრობა. საერთაშორისო ომიდან იტალია გამოვიდა საკმაოდ მოშლილი სამრეწველო აპარატითა და დარღვეული ფინანსებით; მრეწველობა დაეცა და იქ გამეფდა კრიზისი; უმუშევრობამ ფართედ გაიდგა ფესვები; სასოფლო მეურნეობა დაცემის პერიოდში შევიდა ომის დამთავრების შემდეგ წლებში. ნედლი მასალისა და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა საკმაოდ საგრძნობი შეიქნა მისთვის ომისაგან შექმნილ პირობების გამო; სახელმწიფო ვალები გრანდიოზულად გაიზარდა; ბიუჯეტი დიდი დეფიციტითა და ვალიუტა 20 პროცენტი დაცემული ოქროს პარიტეტთან შედარებით საკმაოდ მოზრდილი ზარალია იტალიის ფინანსებისათვის. ამ გარემოებას ზედ დაერთო მკაცრი კლასიური ბრძოლა და კონფლიქტები, რომელმაც 1920 წლის შემოდგომაზე მუშების შეიარაღებული გამოსვლაც გამოიწვია. აი ასეთს ეკონომიურ კრიზისის პირობებში, იტალიას დაეკეტა თავისი სავაჭრო გზები: ახლო აღმოსავლეთის და ოსმალეთის მთელი ყოფილი ტერიტორია იქ მომხდარმა ამბებმა დიდის ხნით დაასუსტა და ამ სამეურნეო რაიონების სავაჭრო უნარიანობა საკმაოდ დაავადმყოფებული არის; რაც შეეხება რუსეთსა და შავი ზღვის სანაპიროებს ეს ერთეული დახშული აღმოჩნდა იტალიის ვაჭრობისათვის ანტანტის ეკონომიურ ბლოკადის წყალობით.

იტალიის ეკონომიური მდგომარეობა და მისი ინტერესები პირდაპირ მოითხოვდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაბმას. თუ საფრანგეთის კაპიტალისტებს ამოძრავებდათ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ უმთავრესად რუსეთში ჩაბანდებული დიდძალი კაპიტალი და ვალების საკითხი, იტალიის ბურჟუაზია ასეთი ურთიერთობისაგან თავისუფალი იყო; მას არ ჰქონდა ჭარბად მოთავსებული თავისი კაპიტალი რუსეთის წარმოებაში და არც მის დიდ მოვალეს წარმოადგენდა ძველი რუსეთი. მაგრამ რუსეთის სამეურნეო ტერიტორიების მსოფლიო ცენტრიდან მოწყვეტამ განსაკუთრებით ავნო იტალიის ეკონომიურ ინტერესებს სავაჭრო ოპერაციების მოღუნების წყალობით. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ ჯერ კიდევ 1919 წელს იტალიის პარლამენტმა ფრანჩესკო ნიტტის პრემიერობის დროს სცნო საჭიროდ რუსეთისაგან ეკონომიური ბლოკადის მოხსნა და აღიარა, რომ რუსეთთან ეკონომიური კავშირის დაჭერას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იტალიისათვის.

ნიტტი შემდეგ დებულებებიდან გამოდიოდა თავისი პოლიტიკის გასამართლებლად:

„იტალია ყველა ქვეყნებზე უფრო მეტად იტანჯება რუსეთთან რეგულიარული ურთიერთობის მოსპობით, რადგან თითქმის იტალიის მთელი ვაჭრობა, მაშასადამე, ფრახტისა და საქონლის ფასები თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მჭიდროდ დამოკიდებული იყო შავი ზღვის ვაჭრობისაგან... **რუსეთში შექმნილმა მდგომარეობამ ყველაზე უფრო აზარალა იტალია, რომელსაც აქვს უფრო მეტი მნიშვნელოვანი ინტერესები ხმელთაშუა ზღვაზე, ვინემ დიდ ბრიტანეთსა და თვით საფრანგეთსაც. ამიტომ იტალია განსაკუთრებით არის დაინტერესებული რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაში"!**

დაახლოებით ასევე ლაპარაკობდა ევროპის პროგრესიული ბურჟუაზიის ნაწილი, რომელმაც ნათლად შეიგნო, თუ როგორ დიდ დანაკლისს წარმოადგენს რღვევის პროცესში მყოფ კაპიტალისტურ ევროპისათვის საბჭოთა სამეურნეო რაიონების ეკონომიური ბლოკადით შემოხაზვა; ბურჟუაზიის ამ ნაწილმა ნათლად დაინახა აგრეთვე, რომ საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა და უდიდესს საერთაშორისო ფაქტორად გადაიქცა.

ასეთს პირობებში საქმიან ბურჟუაზიას სხვა გზა არ დარჩა, თუ არა საბჭოთა კავშირთან მტკიცე ეკონომიური ურთიერთობის გაბმისა. ამ ძიების პროცესში ევროპის ბურჟუაზიამ მრავალგვარი მერყეობა და გაუბედაობა განიცადა: ძველი ტრადიცია და შიში რევოლიუციონურ მთავრობასთან მტკიცე ურთიერთობის დაჭერისა დიდი ხნის განმავლობაში უბორკავდა კაპიტალისტებს გზას საბჭოთა რესპუბლიკებისაკენ. ამ პროცესში იტალიის ბურჟუაზიამ ყველაზე მეტი სიფრთხილე და გაუბედაობა გამოიჩინა: მან ვერ გაბედა სეპარატიული ნაბიჯის გადადგმა და ცნობა საბჭოთა კავშირისა მიუხედავად იმისა, რომ მისი ეკონომიური ინტერესები დაჟინებით მოითხოვდენ ამას. ინგლისის მუშათა მთავრობის აქტმა გამბედაობა შემატა მუსოლინის მთავრობას და მანაც მოიწადინა შესაფერისი აქტით საბჭოთა კავშირის ცნობა.

იტალიის მთავრობის ასეთს ნაბიჯს ჩვენთვის უწინარეს ყოვლისა აქვს, როგორც ავღნიშნეთ, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა: ამ აქტით საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი თანდათან ხდება მთელი მსოფლიოს სრულუფლებიანი წევრი. ის მთავრობა, რომელიც ამ 5-6 წლის წინად მონათლული იყო „ბანდიტების მთავრობად", დღეს თავისი ენერგიული შრომითა და მიზანშეწონილი პოლიტიკით აიძულებს დიდს კაპიტალისტურ ქვეყნებს იცნონ თავის თანასწორუფლებოვან წევრად. ეს დიდი მნიშვნელობის გამარჯვება არის ჩვენთვის.

ეკონომიურად იტალია მართალია, არ არის დიდი ინდუსტრიალური და კაპიტალის გამტანი ქვეყანა, ფართო სამრეწველო და საკრედიტო კაპიტალით დაჯილდოებული, რაც უმთავრესად საჭიროა ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოსათვის, სამაგიეროდ იტალიის კაპიტალისტური მეურნეობა ძლიერ საჭიროებს ჩვენს ნედლ მასალას, (ნავთს, ქვა-ნახშირს) და სურსათ-სანოვაგეს. ამ მხრივ იტალიასთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა საკმაოდ შეუწყობს ხელს და გააცხოველებს ჩვენი საქონლის გატანის საქმეს და გააჯანსაღებს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას.

სიმონ ხუნდაძე.

ეკონომიური პოლიტიკის საკითხები

5. გეგმითი მეურნეობა

გეგმითი მეურნეობა, ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით, ჯერ არ გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს. ეს მომავლის საქმეა. როდესაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის მოხსნა ობიექტიურად შესაძლებელი გახდება, როდესაც სოციალიზმის სამეფოში გადავალთ, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი კოლექტიური მეურნეობის დასრულებული ფორმების მიღება და ამდენადვე გეგმიანობის სრული გატარებაც.

დღეს კი, ერთი მხრივ—კერძო კაპიტალის არსებობა, მეორე მხრივ—გლეხური მეურნეობის დიდი სივრცე აბრკოლებს გეგმითი მეურნეობის პრინციპების შედარებით ფართოდ გამოყენებას. კაპიტალისტური მეურნეობა, რომლის ნაშთები ჯერ კიდევ ჩვენს წინაშე არის და რომელსაც ჯერხნობით თავს ვერ დავაღწევთ, თავისი შინაგანი თვისებით ანარქიული და წინააღმდეგობებით სავსეა. ტრესტებისა და სინდიკატების ხანამ, ხანამ უგვირგვინო მეფეთა, როდესაც ეს „ფულის მეფენი" მონოპოლიური ფასებით უმასპინძლდებიან მსოფლიოს, მაინც ვერ შესძლეს კაპიტალისტური მეურნეობის მოწესრიგება.

სოციალისტური მეურნეობის ძირითადი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ჰარმონიული მეურნეობაა. აქ შრომა მეურნეობის სუბიექტია, კაპიტალი კი ობიექტი და არა პირიქით. ჯერხნობით კი შერეული ფორმებია ჩვენს წინაშე ორი სამეურნეო ორგანიზაციის ფორმათა ბრძოლაში, რომელიც ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში ყოველ სფეროში იჩენს თავს, შეუძლებელი ხდება მთლიანად გეგმითი მეურნეობის შემოღება. მიუხედავად ამისა შესაძლებლობის მაქსიმუმის დაცვა აქ აუცილებელია. გეგმითი სახელმწიფოებრივი მეურნეობა უნდა დაუპირისპიროთ კერძო კაპიტალს და ამ ბრძოლაში უპირატესობა ჩვენს მხარეზედ იქნება.

დღეს კი ჩვენი სამეურნეო ორგანოების მუშაობა მკაცრად ვერ ექვემდებარება გეგმითი მეურნეობის პრინციპებს. მთელი რიგი სამეურნეო ხასიათის საქმიანობანი განსაკუთრებით პროვინციებში იწყება უგეგმოთ და საერთო სისტემაში ადგილის მიჩენის გარეშე. სხვა და სხვა უწყებათა შორის სრულიად არ სჩანს ერთი სისტემატიური პროგრამით ხელმძღვანელობა კულტურულ-ეკონომიური აღმშენებლობის დარგში.

როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ამხ. ტალახაძე, სოფლებში და დაბა ქალაქებში შენდება სახალხო სახლები გრანდიოზული გეგმით მაშინ, როდესაც კოოპერატიული მოძრაობა იქ შესუსტებულია.

მართლადაც სააღმშენებლო დარგში, ზოგადი გადახედვით, ადგილობრივი მუშაკები ზერელე ეფექტიან საქმიანობისაკენ იხრებიან. სახალხო სახლის აგება, ან ყოფილ ეკლესიაში სცენის აღმართვა და ზოგჯერ არა სასცენო ხალხის სცენაზე გამოყვანაც, უფრო დიდი ყურადღების ღირსი ხდება, ვიდრე კოოპერატიული დუქნის ცარიელ თაროების შევსებაზე ფიქრი, ან აბანოს აგება სისუფთავეს მოკლებულ დაბა-ქალაქში.

შეიძლება აქ ირონიაც იყოს რევოლიუციონური არშინით ხელში, მაგრამ თუ რევოლიუცია უპირველესად ხალხის საარსებო ინტერესების სამსახურშია, ჩვენ უნდა შეურიგდეთ ყოველგვარ „პროზას".

ცხადია ასეთი უსისტემობა არ შეიძლება ბრალად დაეკისროს ადგილობრივ მუშაკებს. ყოველი მათგანი, რომ სწორი გეგმით ხელმძღვანელობდეს სადაც კი მუშაობს, მაინც არ გვექნება გეგმითი აღმშენებლობა, რადგან გეგმა უნდა იყოს მთლიანი მთელი სახელმწიფოსათვის უპირველეს ყოვლისა და შემდეგ ცალ-ცალკე მაზრისათვის გამომიჯნული შესასრულებელი ამოცანები.

ელემენტარული დებულებაა: თუ არ ვიცით რა უნდა ვაკეთოთ დღეს, ხვალ, ზეგ, ამ თვეში იმ თვეში და სხვ. ან სად და როდის, მაშინ ვერც ერთ დაწყებულ საქმეს ვერ დავასრულებთ სათანადოთ. პარტიზანული გზით, დაკვრითი წესით დღეს შეუძლებელი არის რისიმე დაწყება, ან უკეთ შეუძლებელი არის რისიმე დასრულება.

ამდენადვე გეგმითი მეურნეობის პრინციპების შემოღება, უწყებათა შორის სააღმშენებლო პერსპექტივების შეთანხმება, სწორი და თანაბარი განაწილება სააღმშენებლო მუშაობის საჭიროების მიხედვით სახელმწიფოს ყოველ კუთხეში, განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად დასახვა ჩამორჩენილ მხარეების—სვანეთი, რაჭა ლეჩხუმი და სხ. მოგვცემს მეტს შედეგს, ვიდრე ვიღებდით აქამდე.

გეგმითი მეურნეობის და სააღმშენებლო მუშაობის წარმოებას თან ახლავს ერთი ცუდი თვისება—შესაძლებლობა ბიუროკრატიული სისტემის მიღებისა. ამ შემთხვევაში იგი უფრო შემაფერხებელია, ვიდრე სრულიად უგეგმოდ მუშაობის წარმოება.

ბიუროკრატიზმის საკმაო დოზა უეჭველად არის ჩვენს სახელმწიფოებრივ ორგანოებში. იგი სამეურნეო სფეროში კიდევ უფრო საშიში და მავნეა. გეგმათა „საწყობათ" არ უნდა გადაიქცეს ხელმძღვანელი ორგანოები. ამიტომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ.

ამხ. ლენინი გვეუბნებოდა—ჩვენ გვაქვს მუშური სახელმწიფო ბიუროკრატიზმით დამახინჯებულიო. ეს მახინჯი მხარე იმდენად უნდა შევზღუდოთ და შევავიწროვოდ, რომ დროთა განმავლობაში მას სულ ბოლო მოვუღოდ.

ამ რიგად, გეგმითი მეურნეობის და პრინციპების მაქსიმალური გატარება დაგვიხსნის მრავალ ხარჯებისაგან, რომელნიც დღეს მიზანშეწონილად გამოყენებული არ არის, შესძლებს კერძო კაპიტალთან ბრძოლის გაადვილებას, თანაბრად აამუშავებს წარმოებას სახელმწიფოს ყოველ კუთხეში საჭიროების მიხედვით და მოგვცემს კულტურულ-ეკონომიურ ძალების სათანადოთ გამოყენების საშუალებას.

ეკონომისტი.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

ოსმალეთში

კავშირის განმტკიცებისათვის.

ანგორა. 11 თებერვალი. გაზეთ „ენი გიუნ"-ის თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ოსმალეთში ამხ. სურიცმა განაცხადა: **„საბჭოთა მთავრობა, ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ, სურს კიდევ უფრო განამტკიცოს მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის.** საბჭოთა მთავრობის მიერ ზომების მიღება ოსმალეთთან ვაჭრობის ფაქტიურ აღდგენისათვის და ოსმალო ვაჭრებისათვის სავაჭრო ოპერაციების გაადვილება შექმნიან ხელსაყრელ პირობებს სავაჭრო ხელშეკრულების დადებისთვის". **სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა აღნიშნა რუსეთის ხალხის სიმპატიების გაძლიერება ოსმალეთის მიმართ** განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც ამ უკანასკნელმა გულწრფელი თანაგრძნობა გამოგვიცხადა ლენინის დაკარგვის გამო.

იტალიაში

პრესის აზრი.

რომი. 11 თებერვალი. იტალიის პრესა ხაზს უსვამს იმას, რომ მუსოლინიმ სხვებზე უფრო ადრე იცნო საბჭოთა კავშირი. „მესსაჯერო" სწერს: **„იტალია საბჭოთა კავშირს სცნობს თანასწორ სახელმწიფოთ და წინადადებას აძლევს მას მოხდეს ელჩთა გაცვლა-გამოცვლა.** „ტრიბუნა" აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულება ახალ ასპარეზს უხსნის იტალიელებს მოღვაწეობისათვის; იტალია წინ უსწრებს ევროპის დიპლომატიას. ფაშისტური პრესა აღნიშნავს, რომ იტალია-რუსეთის ხელშეკრულების ხელის-მოწერა შეუძლებელს ხდის ოპოზიციისათვის გამოიყენოს ამიერიდან ამ ხელშეკრულების უქონლობა აგიტაციის საგნათ საარჩევნო კამპანიის დროს. ოპოზიციონური „მონდო" სწერს: „იტალიას და ინგლისს შემოყავთ ევროპაში ისეთი სახელმწიფო, რომელსაც ხელი არ აქვს მოწერილი ძირითად ტრაქტატებზე, ეს გარემოება კი გავლენას მოახდენს საფრანგეთის პოლიტიკაზე. **იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი ცნობილი არ იქნება შემდეგშიაც საფრანგეთის მიერ, მაშინ საბჭოთა კავშირი ინგლისის და იტალიის საშუალებით აგრძნობინებს საფრანგეთს თავის გავლენას იმ საკითხებში,** რომელნიც მას ეხებიან.

საფრანგეთი დადგება ინგლისისა და საბჭოთა კავშირის წინაშე, რომელნიც გაერთიანდებიან გერმანიის ზოგიერთ იმ ინტერესების დასაცავათ, რომელნიც ეწინააღმდეგებიან საფრანგეთის ინტერესებს. ლოზანას კონფერენციის გადაწყვეტილებები ხელახლა ამოცურდებიან ზედაპირზე".

იტალია-რუსეთის ხელშეკრულება და ამერიკის ხორბალი.

ნიუ-იორკი. 11 თებერვალი. „ნიუ-იორკ ტაიმს"-ი იტყობინება, რომ ინგლისის ექსპორტიორები და ფინანსისტები ფიქრობენ, რომ **იტალია-რუსეთის ხელშეკრულება საშუალებას მისცემს იტალიას შეიძინოს რუსეთის ხორბალი გაცილებით უფრო იაფად, ვიდრე ამერიკის ხორბალი.**

ჩიჩერინის პასუხი მუსოლინს.

რომი. 12 თებერვალი. ჩიჩერინმა დი-პატერნოს საშუალებით დეპეშა გაუგზავნა მუსოლინს, რომელშიაც კმაყოფილებას გამოსთქვამს ხელმოწერილ ხელშეკრულების გამო; ეს ხელშეკრულება, ჩიჩერინის აზრით, დააჩქარებს მშვიდობიანობის დამყარებას მთელს მსოფლიოში და დაიწყებს ახალ ერას ორივე ქვეყნის დამოკიდებულებაში.

ჩიჩერინი აცნობებს აგრეთვე მუსოლინს თავის გადაწყვეტილების შესახებ დანიშნოს დაუყოვნებლივ ელჩი იტალიის მთავრობასთან.

საფრანგეთში

ურთიერთობისათვის.

პარიზი. 11 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ცნობის გამო იტალიის მიერ, საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა თვალყური უნდა ადევნოს ამბების განვითარებას მხოლოდ ევროპა-აღმოსავლეთის სააგენტო აღნიშნავს ახალ საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესაძლებლობას; სააგენტოს აზრით, ამ კონფერენციას წინ უნდა უსწრებდეს წინასწარი მოლაპარაკება საფრანგეთსა და ინგლისის შორის.

უნივერსალური სატელეგრაფო სააგენტო იზიარებს ამხ. კრასინის აზრს სავაჭრო ურთიერთობათა აღდგენის შესახებ საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, მაგრამ აღნიშნავს, რომ სკობელევის გაწვევა ვერ გააუმჯობესებს ამ დამოკიდებულებას. ორი მხარე ერთნაირად უნდა სცდილობდეს უთანხმოებათა გადაწყვეტას.

რუმინეთში

რუსეთ-რუმინეთის კონფერენცია.

რომი. 12 თებერვალი. რუსეთ-რუმინეთის უახლოესი კონფერენცია, რომელმაც უნდა განიხილოს ორივე ქვეყნებისათვის საინტერესო საკითხები, შესდგება ვენაში და აირჩევს არბიტრათ ავსტრიის კანცლერს სეიპელს.

ავსტრიაში

ცნობისათვის.

ბერლინი 12 თებერვალი. დღეს ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრს გრიუნბერგს ავსტრიის ეროვნულ კრებაში შეაქვს წინადადება საბჭოთა მთავრობის იურიდიულად ცნობის შესახებ.

მდგომარეობა გერმანიაში

არჩევნები ტიურინგიის ლანდტაგში.

ბერლინი. 11 თებ. ტიურინგიის ლანდტაგში არჩევნების საბოლოო შედეგი ასეთია; **სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 162,000 ხმა წინანდელი 1,261 000 ნაცვლად, კომპარტიამ—126,000, წინანდელი 73,000 ნაცვლად.** ბურჟუაზიული პარტიების ბლოკმა 1,333,000 ნაცვლად 307,000,000-სა, დამოუკიდებელმა სოციალ-დემოკრატებმა—5,000, ტევტონთა პარტიამ—65,000, სოციალ-დემოკრატებმა დაჰკარგეს ხმების 44 პროცენტი. კომპარტიამ მოიგო 100 პროცენტი. ბურჟუაზიულმა ბლოკმა ტევტონურ პარტიასთან ერთად მიიღეს 100,000 ხმით მეტი. არჩევნებს მოჰყვება ფრეილიხის კაბინეტის გადადგომა და დიდი კოალიციის მთავრობის შექმნა.

არჩევნები რეიხსტაგში.

ბერლინი. 11 თებ. არაოფიციალური ცნობებით, არჩევნები რეიხსტაგში დაიწყება 15 ივნისს.

რურის რკინისგზებზე.

ლონდონი. 11 თებ. ინგლისის პრესის ცნობით, კონფლიქტი ინგლისსა და საფრანგეთს შორის რურის რკინის გზებზე მმართველობის დაწესების შესახებ, მოგვარებულია. პრესა აღნიშნავს, რომ ორივე მხარე დათმობაზე წავიდა, განსაკუთრებით ინგლისი. გაზეთები კრიზისის მოგვარებას ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობის გაუმჯობესების დასაწყისად სთვლიან.

ინგლისის ამბები

მუშათა მთავრობის პოლიტიკის შესახებ

ლონდონი. 12 თებერვალი. დღეს თემთა პალატის სხდომაზე მაკდონალდი მოხსენებას გააკეთებს მუშათა მთავრობის პოლიტიკის შესახებ, ფიქრობენ, რომ ის დაახასიათებს იმ ღონისძიებებს, რომელთა გატარებას ფიქრობს მთავრობა, და დაასურათებს გარეშე საქმეთა მდგომარეობას.

ინგლისის პრესა მაკდონალდის დეკლარაციის შესახებ.

ლონდონი. 12 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფ"-ის ცნობების თანახმად, მაკდონალდის დეკლარაციას თემთა პალატაში მოუნდება ორი საათი, და შესაძლებელია, რომ დეკლარაციის შემდეგ რამოდენიმე წუთით შესწყდეს პალატის სხდომა იმ მიზნით, რომ საშუალება მიეცეს პალატის წევრებს განიხილონ დეკლარაცია.

„დეილი ნიუს"-ი აღნიშნავს, რომ მაკდონალდს საშუალება ექნება განაცხადოს, რომ მთავრობამ მოახერხა დამოკიდებულების გაუმჯობესება საფრანგეთთან, მიაღწია შეთანხმებას კელნის საკითხში და ახლო მომავალში მოხდება შეთანხმება პალატინატის საკითხის გარშემოც.

„მანჩესტერ გარდიენ"-ის სიტყვების თანახმად, კონსერვატიული და აგრეთვე ლიბერალური პარტიები პატივისცემით მოეპყრობიან მთავრობას თემთა პალატის სესიის გახსნის დროს და თავს შეიკავებენ ოპოზიციაში ჩადგომისაგან იმ დრომდი, სანამ ახალი ხელისუფლება არ შეითვისებს სავსებით თავის ამოცანებს.

საჰაერო შეიარაღების შეზღუდვა.

რომი. 12 თებ. ლონდონის გაზეთების ცნობით, ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენცია საჰაერო შეიარაღების შესაზღუდავათ. კონფერენცია შესდგება მაისში მაკდონალდის და პუანკარეს შეხვედრის შემდეგ.

კონსერვატორები ლიდერად ახახლებენ ბალდვინს.

ლონდონი. 12 თებ. ფიქრობენ, რომ კონსერვატიულ პარტიულ უკანასკნელ სხდომაზე ბალდვინი ხელახლა არჩეული იქნება პარტიის ლიდერად.

სხვადასხვა

საფრანგეთი.

მოხელეების დემონსტრაცია.

პარიზი. 11 თებერვალი. გაიმართა მოხელეების მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომლებიც მოითხოვენ მომატებას სიძვირის გამო. დემონსტრანტები მხურვალეთ მიესალმენ პარიზის მუნიციპალიტეტის ხმოსანს კომუნისტ ქალის. დემონსტრაცია გაჰფანტვა პოლიციამ.

შეერთებული შტატები

„კულტურული" ამერიკა.

ნიუ-იორკი. 11 თებერვალი. ნევადის შტატში პირველად დასაძინებელი გაზით დაახრჩეს ჩინელი, რომელსაც სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი.

როიალისტების შეთქმულება.

ბერლინი. 12 თებერვალი. ათინაში ჩავიდენ დამხმარე ძალები როიალისტების შეთქმულების აღმოჩენის გამო. მთავრობამ მოწოდებით მიმართა ხალხს. რესპუბლიკანელები აკრიტიკებენ კაბინეტის ზომიერ პოზიციას და მოითხოვენ ჟურნალისტების და როიალისტურ ბანაკის პოლიტიკურ მოღვაწეების დაპატიმრებას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

პოლიტიკურ პატიმართა ხმა

მოსკოვი. 12 თებერვ. **რუსეთის კომპარტიის ცეკამ ლიუბლინის ციხეში მჯდომ პოლიტიკურ პატიმართაგან მიიღო სამძიმარის დეპეშა ვლადიმერ ილიჩის გარდაცვალების გამო. დეპეშაში, სხვათა შორის, ნათქვამია: ვერც რეაქცია, ვერც ციხე,**

ვერც დიდხან ვერ გაუძლებენ ჩვენ. ჩვენ მზად ვართ ვემსახუროთ ლენინის აღთქმებს.

საგარეო სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვა.

მოსკოვი. 12 თებერვალი. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: **ყველა თათბირები და ყრილობები, რომელთაც იწვევენ სახალხო კომისარიატები, ნება დართული უნდა იქნეს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.**

სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

მოსკოვი. 12 თებერვალი. შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა დაარსოს სპეციალური კომისია ამხ. ცურიუპას, სმილგის, შეინმანის და ვლადიმიროვის შემადგენლობით, რომელიც შეიმუშავებს სასოფლო-სამეურნეო ბანკის კაპიტალის რაოდენობას.

ყოფილ პოლიტიკურ კატორღელების ყრილობა.

მოსკოვი. 12 თებერვალი ყოფილ პოლიტიკურ კატორღელების საზოგადოების საბჭომ დაადგინა მოიწვიოს 12 მარტს ყოფილ პოლიტიკურ კატორღელების საკავშირო ყრილობა.

კრასნოშჩეკოვი პროლეტარულ სასამართლოს წინაშე.

მოსკოვი. 12 თებერ. ახლო მომავალში დაიწყება სამრეწველო ბანკის გამგეობის ყოფილ თავმჯდომარის კრასნოშჩეკოვის გასამართლება.

კრასნოშჩეკოვი ფინანსიურ დახმარებას უწევდა თავის ძმას, „ნეპმანს" და აგრეთვე სხვა აშკარა სპეკულიანტებს, ცხოვრობდა ფუფუნებაში, მონაწილეობას ღებულობდა ქეიფში, რომელსაც ხშირად მართავდენ „ნეპმანები", იძენდა ბანკის ხარჯზე ქონებას დაწყებული აგარაკებიდან, ცხენებიდან, ძროხებიდან თვით საოჯახო წვრილმან ნივთებამდე.

კრასნოშჩეკოვს ბრალად ედება ბოროტმოქმედება თანამდებობით, ხელისუფლებისათვის სახელის გატეხა და სახაზინო ფულების მითვისება.

ლენინი სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს შემქნელია.

მოსკოვი. 12 თებერვ. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ცურიუპამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს შემქმნელი არის ლენინი. შემდეგ ამხ. ცირიუპამ აღნიშნა, რომ ამხ. კრჟიჟანოვსკი ატარებდა ლენინის აზრებს ცხოვრებაში და სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს სამი წლის არსებობის განმავლობაში შეიძინა მრავალი გამოცდილება, რომელიც მას საშუალებას აძლევს სისწორით შეიმუშაოს სახალხო მეურნეობის გეგმა. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს გეგმებს ამტკიცებს შრომის და თავდაცვის საბჭო, შემდეგ შესასრულებლად ისინი გადიცემიან ოპერატიულ ორგანოებს, როგორიც არის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და გზათა სახალხო კომისარიატი. გეგმის ცხოვრებაში გატარებას, ამხ. ცურიუპას აზრით, თვალყური უნდა ადევნონ აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ.

186 გემი.

მოსკოვი. 12 თებერვალი. გზათა სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს ააშენოს ლენინგრადის და ნიკოლაევის ქარხნებში 186 საზღვაო და მდინარეების გემი.

რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის შემოსავალი.

მოსკოვი. 12 თებ. იანვრის განმავლობაში რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის ცეკაში შემოვიდა საბჭოთა კავშირის განყოფილებებიდან დაახლოვებით 500,000 მ. ოქროთი. ფულით და სხვა ძვირფასი ნივთებით, 20,000 მანეთამდე ოქროს სესხის ობლიგაციებით, 2,600 ფუთამდე პურის სესხი და აგრეთვე 52 დოლარი.

უკრაინა

მონასტრის ნაცვლად კომუნა.

ხარკოვი. 12 თებერვალი. ს. ჩერელოვკაში, ალექსანდროვსკის ოლქი, ქალთა ყოფილ მონასტერში 100 უმიწაწყლო გლეხმა მოაწყო კომუნა.

გემი „ვოროვსკი"

ოდესა. 12 თებერვალი. ოდესაში მოვიდა გემი „ვოროვსკი", რომელიც წარსული წლის ნოემბერში გამოვიდა ლენინგრადიდან და გარს შემოუვლო მთელ ევროპას.

ლენინის დასაფლავების დღეს გემი იდგა გენუაში. იტალიელი მუშები, მიუხედავათ ფაშისტების თავდასხმებისა, გამოვიდენ ქუჩებზე ლენინის სურათით და შავი დროშებით. გემზე მუშებმა მოიტანეს ყვავილების თაიგული წარწერით: „უდიდეს ბელადს იტალიელ კომუნისტებისაგან." ფაშისტებმა მოაწყვეს კონტრ-დემონსტრაცია. მოხდა შეტაკება. ორივეს მხრით იყვნენ დაჭრილები.

ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია

ამხ. კუიბიშევის მოხსენება

მოსკოვი. 12 თებერვალი. მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენუმზე ამხ. კუიბიშევმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ლენინი ფიქრობდა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაციას, რუსეთის კომპარტიის ტაქტიკასთან და საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის ტემპთან შეფარდებით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მნიშვნელოვანი ამოცანაა მუშათა და გლეხთა ინსპექციის კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობასთან, მაქსიმალური ეკონომია სახელმწიფო აპარატის მოწყობის დროს, მისი დაახლოვება მუშების და გლეხების ფართო მასებთან. საჭიროა შეიქმნას სანიმუშო დაწესებულება, ყველა სხვა დაწესებულებებზე უფრო ავტორიტეტული, რომელშიაც მიზიდული უნდა იქნან მაღალი კვალიფიკაციის მუშაკები, რათა ყოველ საკითხში მუშათა და გლეხთა ინსპექციამ იცოდეს უფრო მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა დაწესებულებამ. საჭიროა აგრეთვე, ილიჩის ანდერძის თანახმად, შეიქმნას მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაკთათვის უკეთესი მატერიალური პირობები, რომელთა გარეშე არაფერი შედეგი არ მოჰყვება ამ აპარატის რეორგანიზაციას. შეეხო რა მუშათა და გლეხთა ინსპექციის შტატების შემცირებას და იქ კომუნისტურ ელემენტის ზრდას, ამხ. კუიბიშევი ხაზს უსვამს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძველ მუშაკთა ინციკლოპედიურობას, აჩქარების და შემთხვევითი ხასიათის პოლიტიკას.

საჭიროა შემოითვალონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა და მთელი ყურადღება მიექცეს სახელმწიფო აპარატის და ქვეყნის მეურნეობის საკომანდო პუნქტების გაუმჯობესებას. მუშათა და გლეხთა ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა დაიჭირონ ისეთი კავშირი აღმასკომებსა და პარტკომებთან, რათა ამ ორგანოებმა სისწორით შეიგნონ ცენტრ. საკონტ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე მდგომი ამოცანები და ხელი შეუწყონ ისეთ სამაგალითო აპარატის შექმნას, რომელიც შესძლებს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატებისათვის მნიშვნელოვან საკითხების გადაჭრას.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა აგრეთვე მრეწველობის დარგში ზოგიერთ პროდუქტების თვითღირებულების შესწავლას და მას განზრახული აქვს წინადადება შეიტანოს უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, რათა მიღებულ იქნას ზომები მრეწველობის ამა თუ იმ დარგის ორგანიზაციისათვის.

შეეხო რა საკონტროლო კომისიების ამოცანებს პარტიულ მუშაობის დარგში, ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს, რომ მთავარი ზრუნვა მდგომარეობს მუშებსა და გლეხებს შორის და აგრეთვე პარტიის შიგნით შესაძლებელ განხეთქილების თავიდან აცილებაში. შეეხო რა შინაპარტიულ ცხოვრების გაჯანსაღების ამოცანებს, ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს, რომ გარდა პროლეტარულ ელემენტის პარტიაში მიზიდვისა, ცენტრ. საკონტროლო კომისიამ თავს უნდა იდოს პარტიიდან იდეოლოგიურად მტრული ელემენტების განდევნა. პარტიის გაწმენდის ამოცანები უნდა გადაიჭრას ადგილობრივ. პარტიის XIII ყრილობისათვის საჭიროა დასრულებულ იქნას წმენდის მუშაობა და აგრეთვე შესრულებულ იქნას მუშაობის მეორე ნაწილი პარტიის გასაჯანსაღებლად.

მოხსენების შემდეგ მოხდა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ყველა ორატორები ხაზს უსვამდენ, რომ საჭიროა ცენტრ. საკონტ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში ჩაბმულ იქნან მუშების ფართო მასები. ამხ. კუიბიშევის მოხსენების გამო მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიაც პლენუმი სავსებით ადასტურებს მომხსენებლის მთავარ თეზისებს.

ლენინი და მეცნიერები

ლენინის ხსოვნისათვის

მოსკოვი. 12 თებერვალი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავ საღამოზე, რომელიც გამართული იყო მეცნიერთა სახლში, ამხ. **სემაშკომ აღნიშნა, რომ ლენინს ჰქონდა კაცობრიობის ბელადის ყველა თვისებები, მას ჰქონდა ისტორიული წინასწარ ხედვის და მომავალის გამოცნობის ნიჭი**; ის თანამედროვე საზოგადოების ანალიზის საფუძველზე არკვევდა მომავალი ცხოვრების ფორმებს. დაახასიათა რა ამხ. ლენინი, როგორც ადამიანი, ამხ. **სემაშკომ აღნიშნა ლენინის არაჩვეულებრივი ნაზი და მგრძნობიერი დამოკიდებულება ბავშვებისადმი**, რომლებთანაც უყვარდა დროს ტარება მას. ამხ. სემაშკომ აღნიშნა, **რომ ლენინს ღრმა რწმენა ჰქონდა მეცნიერების, მისი უდიდესი მნიშვნელობის საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში.**

გამოსულმა მეცნიერებმა აღნიშნეს ლენინის ღრმა ინტერესი მეცნიერებისა და ტეხნიკისადმი, მისი მუდმივი ზრუნვა გამოეყენებია მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები ცხოვრებაში და პრაქტიკაში. **მეცნიერები ერთხმათ აღნიშნავენ იმ დახმარებას, რომელსაც უწევდა ლენინი სამეცნიერო მუშაკებს.**

სოციალისტურ აკადემიაში, ლენინის ხსოვნის აღსანიშნავათ გამართულ სხდომაზე, ამხ. რადეკმა აღნიშნა, რომ ლენინმა თავის რევოლიუციონური მოღვაწეობის დაწყების წინ წამოაყენა შემდეგი ამოცანები: რევოლიუციონერთა ორგანიზაციის შექმნა, მეორე ინტერნაციონალის დაშლა და სამოქალაქო ომის დაწყება სოციალურ რევოლიუციის მომზადების მიზნით. ლენინმა მოგვცა რევოლიუციონურ ბრძოლის ტაქტიკა. წამოაყენა რა ძალაუფლებისათვის ბრძოლის იდეა, მან შესძლო მისი განხორციელება და დაამტკიცა, რომ მუშათა კლასს შეუძლია გაიმარჯვოს.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბაქოს ტრამვაი.

ბაქო. 11 თებერვალი. ტრამვაის ამუშავების პირველ დღეს ტრამვაის ვაგონებით გადაყვანილია 17.000 კაცი. ერთი დღის შემოსავალი უდრის 1300 ჩერვონეცის მანეთს.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 11 თებერვალი. 1—5 თებერვალს ბაქოს ყველა სამრეწველოებზე ამოღებულია სულ 2,426,000 ფ. ნავთი. გამოსახდელად მიშვებული იყო 2 680,000 ფუთი. გამოხდილი დაბრუნებულა 2 656,000 ფუთი. დაწმენდილია 563,000 ფ. ბურღვაზე მუშაობდა საშუალოდ 181 დაზგა. ჩაუბურღიათ 400 საჟენი.

ნავთის გაზიდვა იანვარში.

ზღვით გაზიდულა ნავთის ნაწარმოები 1,748,921 ფუთი ნავთი. 341,115 ფ. სამანქანო ზეთეულობა; რკინის გზით: სანათის ზეთეულობა— 75,966 ფ. საცხები ზეთეულობა— 1.250,000 ფ. ბენზინი—2546 ფ. ნავთის ნალიქი—1.256.581 ფ სოლიარის - 455,159 ფ. ნავთი—67,368 ფ. სხვა ნაწარმოები—4,185 ფ ნავთის გადასაქაჩველი მილებით დაქაჩული იყო იანვრის განმავლობაში ბათომში 1.787,144 ფ.

სომხეთი

სტატისტიკო კურსები.

ერევანი. 11 თებერვალი. ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ერევანში გახსნა ორთვიანი სასტატისტიკო კურსები, რომლის მსმენელებადაც არიან საბჭოთა და პროფესიულ დაწესებულებათა და აგრეთვე ცენტრალურ სასტატისტიკო სამმართველოს მოსამსახურენი. პროფკავშირთან დადებულ პირობის თანახმად ამ კურსების მსმენელნი მიიღებენ უპირველესად ადგილებს სტატისტიკოსებისას.

ლტოლვა კომპარტიისაკენ

ბაქოს მუშების ხმა.

ბაქო. 11 თებერვალი. **ბიბი-ეიბათის რაიონის მეხუთე ხარეწავის უპარტიოთ ახალგაზრდობამ კომკავშირის უჯრედში შეიტანა კოლექტიური განცხადება კომკავშირში შესვლის შესახებ.**

ბაქოს მუშების ლტოლვა კომპარტიისაკენ გრძელდება. დღემდის პარტიაში შესვლის შესახებ შემოსულია 3000 მუშის განცხადება. განცხადების შემომტანთ შორის მრავალია კვალიფიციური მუშები.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულად

ს. კ. პ. ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს

ჩვენი პარტიის მუშათა შემადგენლობის მაქსიმალურად გაძლიერების აუცილებლობა არა ერთხელ იყო აღნიშნული ყრილობის და პარტკონფერენციების მიერ — როგორც რ. კ. პ. ერთი უმთავრესი მორიგი ამოცანა.

მხედველობაში იღებდა რა ამას, პარტია ყოველგვარი ზომით აძნელებდა თავის რიგებში არა პროლეტარული ელემენტების შემოშვებას და ამავე დროს ფართოდ უღებდა კარებს პარტიაში შემოსასვლელად მუშებს და, პირველ ყოვლისა, წარმოებაში ჩაბმულ მუშებს.

ყველა ამ ზომებმა თუმცა საერთოდ და მთლიანად გაამართლეს თავის მიზან-დანიშნულება, მაგრამ სასურველი ეფექტების მოცემა მაინც ვერ შესძლეს, ვინაიდან პარტიაში შეფარდება პროლეტარული და არა პროლეტარული ელემენტებ შორის ძლიერ ნელა იცვლებოდა და არ შეეფერებოდა პროლეტარიატისა და მის მოწინავე ელემენტების ზრდას, ქვეყნის სამრეწველო ცხოვრების თვალსაჩინო აღორძინებასთან დაკავშირებით.

ასეთი მდგომარეობა კომპარტიაში, როგორც მუშათა კლასის პარტიაში, არ შეიძლება გაგრძელებულიყო მომავალში.

მეორე მხრით, ანგარიში გაეწია რა მუშათა არაჩვეულებრივ ლტოლვას ჩვენი პარტიისადმი, სრულიად საკავშირო მე-13 პარტიულმა კონფერენციამ მიიღო დადგენილება პარტიაში არა ნაკლებ 100.000 სამრეწველო მუშის მიღების შესახებ. ამხ. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ამ ლტოლვამ მიიღო განსაკუთრებით ფართო სახე, რის გამოც რუს. კომპარტიის ცეკამ 31 იანვარს 24 წ. გადასწყვიტა — ჩატარდეს ფართო კამპანია პარტიის რიგებში ის მუშების შეყვანის შესახებ, რომელნიც უშუალოდ მუშაობენ წარმოებაში. კამპანია ნავარაუდევია სამი თვისათვის და უნდა დასრულდეს რუსეთის კომპარტიის მე-13 ყრილობისათვის.

საქ. კომუნისტური პარტია, რომელსაც თავის რიგებში ჰყავს მხოლოდ 17 პროც. მუშებისა, ყველაზე მეტად, ვინემ სხვა რომელიმე ორგანიზაცია, საჭიროებს თავისი რიგების სამრეწველო მუშების კადრით შევსებას.

ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თანახმად, მთელ საქართველოში უნდა მოხდეს არა ნაკლებ 2.000 ქარხნის მუშის მიღება ჩვენს რიგებში.

თავისი რიგების მუშებით შევსება პარტიას შეუძლია მოახდინოს სამრეწველო ქალაქებიდან და რაიონებიდან, როგორიც არის: ტფილისი, ბათომი, ფოთი, ჭიათურა, სოხუმი, სამტრედია, ხაშური და ბორჯომი. ამასთანავე ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ქ. ტფილისმა უნდა მოგვცეს ახალ წევრთა ნახევარი, ანუ ათასი, ხოლო მეორე ნახევარი კი — ყველა დანარჩენ ქალაქებმა და სამრეწველო რაიონებმა.

ამ დირექტივების ასასრულებლად ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს წინადადება ეძლევათ:

1) ამ ცირკულიარის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ შეუდგენ ქარხნის მუშების მიღების სამთვიანი კამპანიის ჩატარებას.

2) ამასთან ერთად, რუსეთის კომ პარტიის მე-13 ყრილობამდე შეწყვეტილ იქნეს მიღება პარტიაში სხვა სოციალური ჯგუფებისა: გლეხებისა, მოსამსახურეებისა და სხვ.

3) უკეთუ მუშებს არ აღმოაჩნდებათ რეკომენდაციების საკმაო რიცხვი, პარტკომებმა, არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა, უნდა მოაწყონ კომისიები სამი კომუნისტის შემადგენლობით, რომელთაც ექნებათ რეკომენდაციებისათვის საჭირო სტაჟი, რათა ისინი გაეცნონ პარტიაში შესვლის მსურველ მუშების ვინაობას.

4) იმ შემთხვევაში, თუ მუშას არ აღმოაჩნდა რეკომენდაციები და მისი ვინაობასთან გაცნობა შეუძლებელი ხდება სპეციალური კომისიების მიერ, ასეთი პირის მიღება შესაძლებელია რეკომენდაციის გარეშეც, მაგრამ იმ პირობით, თუ მუშათა საერთო კრება დადებითად უყურებს მას და კომუჯრედის საჯარო სხდომაც ადასტურებს მის კანდიდატურას.

5) პარტკომებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიაში მუშა-ახალგაზრდობის მიღებას — ახ. კომკავშირის წევრთაგან, რომელნიც ქარხნებში მუშაობენ.

6) მთელი ამ კამპანიის გატარების განმავლობაში, პარტიულ ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენოს ყველა თავისი ძალები, რათა უპარტიო მუშებს გააცნონ როლი და მნიშვნელობა ჩვენი პარტიისა, როგორც პროლეტარიატის მებრძოლი ავანგარდისა. ამ მიზნით მუშათა წარმოების საერთო და კომუჯრედების საჯარო კრებებზე, კლუბებში და სხვაგან უნდა მოეწყოს მოხსენებანი პარტიის განვითარების ცალკე პერიოდების შესახებ, ამხ. ლენინის ცხოვრებასთან და მოქმედებასთან დაკავშირებით.

ამასთან ერთად უნდა მოეწყოს სათანადო [illegible] კამპანია ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე.

კამპანიის მსვლელობის შესახებ განუწყვეტელი საინფორმაციო კავშირი უნდა დაიჭიროთ როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტთან, ისე ჩვენ პარტიულ ორგანოებთან (გაზეთებთან).

ს. კ. პ. ც. კ-ის მდივანი

ქართველიშვილი

ც. კ-ის საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყ. გამგის მაგიერ

ბობოხიძე.

ახალგაზრდათა კომკავშირში

ტფილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის კონფერენცია

მუშტაიდის რკინისგზელთა კლუბში 7 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათ. გაიხსნა საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის მე-7-ე კონფერენცია. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. ახალგაზრდობის კომკავშირის რაიკომის ანგარიში.
2. ახალგაზრდობის კომკავშირის რაიკომის არჩევნები.
3. დელეგატების არჩევა საქალაქო კონფერენციისათვის.

კონფერენციას ხსნის რაიონის მდივანი ამხ. მოგელაძე, რომელიც წინადადებას აძლევს კონფერენციას აირჩიოს პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმი არჩეულ იქნა შემდეგი 5 ამხანაგისაგან: მოგელაძე, ლომიძე, სოროკინი, გოლდბაუმი და სუხიშვილი.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მოგელაძე, რომელიც მოხსენებას ყოფს განყოფილებების მუშაობის 4 ძირითად ნაწილად; მომხსენებელი ლაპარაკობს ორგანიზაციულ, სააგიტაციო-საპროპაგანდო, ეკონომიურ-უფლებრივ და „სპარტაკის" მუშაობის შესახებ.

ორგანიზაციულ დარგში ამხ. მიუთითებს იმაზე, რომ საანგარიშო პერიოდში რაიონში იაჩეიკები გადიდდა შვიდით. მოგვარებულია საწევრო გადასახადების აკრეფა, მოხდა ზოგიერთ იაჩეიკების რეორგანიზაცია. დისციპლინა რაიონში მეტად გაძლიერდა, მოგვარებულია აღრიცხვა როგორც წევრების, ისე მუშაობის, საგრძნობლად გაძლიერდა კავშირი პარტიასთან. ახალგაზრდობის კომკავშირის წევრთა ურთიერთობა კომპარტიასთან კარგია. ამ უკანასკნელ დროს საგრძნობი ხდება იდეური ხელმძღვანელობა პარტიის მხრივ.

სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის სფეროში საქმე ცოტათი მოისუსტებს, გატარებულია პოლიტიკური ცოდნის შემოწმება, რომელიც არ გაუვლია დაახლოვებით 60 ამხანაგს, დაწყებულია მუშაობა პოლიტიკური განათლების სკოლების მოსაწყობად, საკლუბო მუშაობა მოიკოჭლებს თანხების და სათანადო შენობის უქონლობის გამო. მაგრამ სწარმოებს წრეების მუშაობა, კლუბთან არსებობს კლუბის გამგეობა, მაგრამ მან ვერ გამოიჩინა საქმის უნარიანობა. საკლუბო მუშაობაში ჩაბმულია უპარტიო ახალგაზრდობა.

რაც შეეხება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, რაიონში რამოდენიმეჯერ მოხდა მისი ლიკვიდაცია, მაგრამ რადგანაც ახალგაზრდობის კომკავშირში თანდათან შემოდიან მაზრებიდან ჩამოსული წევრები (წერა-კითხვის უცოდინარები), საჭირო ხდება ამ მუშაობის სისტემატიურად წარმოება.

საანგარიშო პერიოდში რაიკომმა ბევრი რამ გააკეთა მშრომელი ახალგაზრდობის ეკონომიურ-უფლებრივ სფეროში.

მცირეწლოვანთა დატოვება წარმოებებში 90 პროცენტით გატარებულია რკინის-გზის ტფილისის კვანძში. გახსნილია ამიერ-კავკასიის რკინის-გზების მთავარ სახელოსნოებთან ერთი სკოლა შეგირდობისთვის, სადაც სწავლობს დაახლოვებით 80 ამხანაგი. მოხდა უბანში შეგირდების აღრიცხვა.

ბავშვთა ჯგუფების ორგანიზაციის სფეროში უნდა აღინიშნოს ის, რომ საანგარიშო პერიოდში, ესე იგი 6 თვის განმავლობაში ორგანიზაცია ძლიერ გაფართოვდა. თუ მაშინ მის რიგებში ითვლებოდა დაახლოვებით 150, ეხლა კი ირიცხება 800-დე ბავშვი. ყველა კოლექტივები დაყოფილია შრომის სკოლებათ, რადგანაც რაიონში ისეთები არ მოიპოვებიან, რომელთა დაყოფა შეიძლებოდეს წარმოების ხასიათის მიხედვით. ბავშვები მხოლოდ მუშების შვილები არიან.

სპარტაკის რაიონულ საბჭოს შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა, რადგანაც შეუძლებელი გახდა სათანადო შემადგენლობის შერჩევა. სასპორტო მუშაობაში ჩაბმული არიან ახალგაზრდობის კომკავშირის წევრებიც რაიონში კარგად არის დაყენებული მუშაობა ფიზიკური კულტურის დარგში.

მოხსენების დასრულების შემდეგ ილაპარაკეს ამხანაგებმა, რომლებიც მიუთითებდენ რაიკომის მუშაობის ნაკლულევანებებზე.

კამათის დასრულების შემდეგ, რაიკომის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

მეორე საკითხის გამო არჩეულ იქნა პირველი რაიკომი, რომელშიაც შედიან შემდეგი ამხანაგები: მოგელაძე, ჟორჟოლაძე, მოროზოვი, ლომიძე, გურგენიძე, ასლამაზოვი, შმიდტი, სოროკინი, დენისენკო, ვარნაზოვი, რამანოვსკი, მაიერი, პანჩენკო, კეკელია, კაპრანოვი; მათ კანდიდატებათ არჩეული იქნენ: ცაგურია, ელისეევი, ზარსხოვა, გვინერია, კობაიძე, იშჩენკო, ხურდენკო.

საქალაქო კონფერენციისათვის არჩეულ იქნა ერთხმად მთელი რაიკომი, კანდიდატები დამატებით იქნენ არჩეულნი.

კონფერენცია გათავდა იმავე დღეს ინტერნაციონალის სიმღერით.

დ. ლომიძე.

პარტიის უახლოესი ამოცანები ვ. ი. ლენინის გარდაცვ. შემდეგ

ამხ. ზინოვიევის სიტყვა საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობის კომფრაქციის სხდომაზე *)

მწარე ყოფა

ამ ობიექტიურ დაბრკოლებათა გარდა, რასაკვირველია, ჩვენ გვქონდა და, რასაკვირველია, მომავალშიც გვექნება სუბიექტიური შეცდომები. ჩვენ დიდხანს ვიმყოფებოდით ინერციით სამხედრო კომუნიზმის იდეების წრეში. ჩვენ აქ, შესაძლებელია, ვერ გამოვიჩინეთ საკმაო ელასტიურობა. ჩვენ დიდხანს შევჩერდით განსაზღვრულ ეტაპზე, რომელიც ჩქარა უნდა გაგვევლო. ეს იყო, მე უაღრესად გადაჭარბებულათ ვთვლი, როცა „კრიტიკოსები", ცდილობდენ რა ულაპარაკნათ ჩვენი პარტიის წარსულზე, გაიძახოდენ, რომ ჩვენი პარტია კოჭლია, ბრმაა, მუნჯია, ყრუა და სხვა. ეს სისულელეა: ის რომ ბრმა ან კოჭლი ყოფილიყო, მას დიდი ხანია გადაუძახებდენ საფლავში. მსურველები ბევრი იყო, მრავალი ძალები მუშაობდა ამისათვის, ამისათვის მუშაობდა არა მარტო მთელი შინაური კონტრ-რევოლიუცია, არამედ მთელი საერთაშორისო ბურჟუაზიაც, მაგრამ რომ ჩვენს პარტიაში იყო სისუსტენი, ეს უდავოა. როცა ამბობენ, რომ ჩვენი პარტია ცხოვრობს ორ სართულათ, მე ვთვლი, რომ ეს ნიშნავს პარტიის მოწამვლას. არ შეიძლება ამის თქმა, ვინაიდან ეს არ არის მართალი, ვინაიდან ეს არის დემაგოგია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა ვხედავდეთ იმ უარყოფით მხარეებს, რომლებიც ჩვენი პარტიის ცხოვრებაში იყვენ ჩემი წერილის საპასუხოთ, რომელიც 7 ნოემბერს გამოქვეყნდა, ჩვენ მივიღეთ 1000 გამოხმაურება. ყველა ისინი წაკითხული არ არის ჯერაც, მაგრამ იმათგან, რომელთა წაკითხვა მოვასწარი, ყველაზე საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს ერთი მოსკოველი მუშაქალის ამხ. სოკოლოვსკაიას წერილი ფაბრიკიდან „წითელი ვარსკვლავი". ამხ. სოკოლოვსკაია მწერდა მე სათაურით „მწარე ყოფა". „მოხვალ კრებაზე და ზიხარ, როგორც აუცილებელი ნაწილი, მანქანის დამატება, იღებ ცნობად და მეტი არაფერი. ჩვენი პარტიის ცხოვრების სწორედ ღერძი კი გაუგებარი დარჩა. კრებაზე ზიხარ და იღებ ამა თუ იმ კითხვას ცნობად, წახვალ კრებიდან და ღეჭავ ამ საკითხს თითქო მშრალ კანს, ინახავ მტკივან გულში. ახლა შევეხები ადგილობრივ არჩევნებს: მე — შენ, შენ — მე, და მეტი არაფერი: ჩვენ მოწინავეები ვართ: სირცხვილია, რომ მე შავი მომცე. მე მრცხვენია შენთვის შავის მოცემა; წინააღმდეგი არავინ არის; მიღებულია ერთხმად; ამხანაგებო, მხარი დაუჭირეთ სიას". ამხანაგებო, თქვენ ყველამ იცით, რომ თქვენს წინაშე არის ფოტოგრაფია ჩვენი შინაპარტიული ცხოვრების ზოგიერთი მტკივანი მხარეების, რომელთა დაფარვა დანაშაული იქნებოდა. ჩვენი პარტიის პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1923 წლის 5 დეკემბრის რეზოლიუცია მიღებულია სერიოზულათ და დიდი ხნით, ისინი სერიოზულათ უნდა გავატაროთ ჩვენ სწორეთ იმიტომ, რომ ასეთი „მწარე ყოფა" ჩვენს პარტიაში იყო და რომ ჩვენ უნდა დავსძლიოთ ის, რაც არ უნდა დაგვიჯდეს: ამ „მწარე ყოფას" პარტიამ კოლექტიური ხელით უნდა სწვდეს ხელში და კისერი მოუგრიხოს. დიდი აურზაური იყო და ბევრმა მისაყვედურა მე იმის გამო, რომ მე ჩემს წერილში ვსთქვი ჩვენს პარტიაში გაბატონებულ „შტილის" შესახებ. მაგრამ, ამხანაგებო, მე დავეყრდნობი იმას, რომ სხვა ამხანაგებიც ხმარობდენ ამ სიტყვას. თქვენ გახსოვთ, როცა ვლადიმერ ილიჩი მეათე ყრილობაზე ამბობდა, რომ ჩვენში პასივობა გაგრძელდება კიდევ ორ წელიწადს და მუშები მხოლოდ მაშინ გამოგიცხადებენ თქვენ ნდობას, როცა ნამდვილი მუშა დაბრუნდება ქარხნებში. რით არის უარესი სიტყვა „შტილი" სიტყვა „პასივობაზე".

ცუდი ის კი არ არის, რომ ჩვენ ხმამაღლა ვსთქვით და ხაზგასმით, შესაძლოა, განვაცხადეთ, რომ ჩვენს პარტიაში არის სუსტი მხარეები: ცუდი ის არის, რომ ამის გამო ცდილობენ ზედმეტი სიძნელენი შექმნან პარტიისათვის.

არასდროს, არავინ არაფერს იტყვის ამ მუშა ქალის სოკოლოვსკაიას წინააღმდეგ, რომელსაც არ დაუკლია ფერები. მან დასწერა ისე, რომ თითეული სიტყვა კიცხავს ყველაფერს, რაც იყო ცუდი ჩვენს პარტიაში. დიახ, ეს იყო მწარე ყოფა, მაგრამ ეს მწარე ყოფა საგრძნობათ არის დაკავშირებული ობიექტიურ მიზეზებთან — სიმშილთან, პროლეტარიატის გაფანტვასთან, აგრეთვე სუბიექტიურ სიძნელეებთან, იმასთან, რომ ჩვენ დიდხანს ვჩერდებოდით განსაზღვრულ ეტაპებზე იმის მაგიერ, რომ წავსულიყავით წინ.

რომ ჩვენი ამხანაგი კრიტიკოსები ჩვენი პარტიის ნაკლულოვანებებზე მიუთითებდენ ამხანაგურ ფორმებში, რომ ამავე დროს ვგრძნობდეთ, რომ მათ ისევე სტკივათ გული, როგორც ამ მუშა ქალს, ჩვენ არ გვექნებოდა ასეთი მწვავე კამათი, რომ აგრეთვე ამხანაგ-კრიტიკოსებს ეზრუნათ და მოეცათ ზოგიერთი საქმიანი შენიშვნები, თუ როგორ გამოგვესწორებია ბოროტება, ჩვენ გულწრფელ მადლობას ვეტყოდით მათ.

კამათის გამწვავება დაიწყო იმ მომენტიდან, როცა პარტიის მდგომარეობის დასურათება დაიწყეს მხოლოდ და მხოლოდ შავი ფერებით, როცა დაიწყეს ლაპარაკი ორ სართულზე, ე. ი. როცა დაიწყეს შხამიანი სიტყვების წამოსროლა პარტიაზე და არავითარ შენიშვნებს არ იძლეოდენ, თუ როგორ გამოსულიყო პარტია მძიმე მდგომარეობიდან.

ყველაფერ ამის ფონზე. ჩამოყალიბდა ჩვენში კამათი ახალგაზრდობის, გადაგვარების და პარტაპარატის საკითხის შესახებ. ეს საკითხები გადასჭრა პარტიულმა კონფერენციამ. თქვენ გაქვთ ყველა ეს გადაწყვეტილებები, რომელსაც თქვენ ყველანი, ალბათ, შეუერთდებით. ჩემი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ჯამი გაუკეთოთ ჩვენს დავას და გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნები.

ახალგაზრდობის საკითხი

რამდენათაც მეტად ვშორდებით ამ დავას, მით უფრო მეტად ირკვევა ნამდვილი მდგომარეობა ჩვენს პარტიაში. ავიღოთ კამათი ახალგაზრდობაზე. არავის არ უზრუნვია მოეყვანა ციფრებით, თუ როგორ მდგომარეობაშია ამ მხრივ საქმე საგუბერნიო კომიტეტებში და საგუბერნიო აღმასკომებში. ხატავდენ საქმეს ისე, თითქო ჩვენ გვყავს პარტიის ძველი გვარდიის ჯგუფი, რომელიც ვერ გრძნობს, რომ ფართე პოლიტიკურ ასპარეზზე უნდა დაეთმოს ადგილი პარტიის ახალ ფენებსაც, პარტიის ოქტომბრის შემდეგ ფენებსაც. რომ ჩვენი ძველი გვარდია მართლაც ასე იყოს განწყობილი, რომ ყველაფრის გაკეთება მას სურდეს, რომ ის არ გრძნობდეს ჩვენი პარტიის ახალგაზრდა თაობის ჩვენს პარტიული მუშაობაში ჩაბმის მთავარ ამოცანას, მაშინ ეს ძველ გვარდიას არაფრად ეღირებოდა და მაშინ, რასაკვირველია, ის ღირსიც არ იქნებოდა, რომ მასზე ეკამათნათ. თავისთავად ცხადია, ძველი გვარდიის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ იყოს პარტიის მთავარი ცენტრის შემაერთებელი ძაფი პარტიის ახალ ფენებთან, რომ დაეხმაროს ამ ახალ ფენებს გამოვიდენ ფართე გზაზე.

არც ერთ კრიტიკოსს არ უზრუნია იმაზე, რომ გამოერკვია და შეემოწმებია — მართალია თუ არა, რომ პარტიის წევრების მცირე ჯგუფი, რომელიც 1905 წლამდი შეადგენდა ორნახევარ ათასს, 1916 წლამდი კი — 7 ათასზე მეტს, — არ აძლევს საშუალებას ახალ ფენებს გამოვიდეს ფართე გზაზე.

ახლა მე მოვახერხე ზოგიერთი ციფრობრივი მასალების შეკრება, რომლებიც ალბად საუკეთესო არგუმენტი იქნებიან ჩვენს კამათში.

ვნახოთ, მაგალითად, როგორია საგუბერნიო კომიტეტების პლენუმების შემადგენლობა, რომლებიც კრიტიკის მთავარ საგანს შეადგენდენ. ვნახოთ, მართალია თუ არა, რომ მათში, პარტიის მთავარ ორგანოებში, გამაგრებულია მხოლოდ მოხუცების მცირე ჯგუფი. ის მასალები, რომლებიც ჩემს განკარგულებაშია, ამტკიცებენ, რომ ეს არ არის მართალი. საგუბერნიო კომიტეტების წევრებს შორის პარტიაში 1917 წლამდე შემოსულთა რიცხვი მხოლოდ 4,2 პროცენტს უდრის, 1917 წელში შემოსულთა — 24 პროცენტს, 1917 წ. შემდეგ შემოსულთა — 36 პროცენტს. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, საგუბერნიო კომიტეტებში პარტიაში 1917 წელს და შემდეგ შემოსულთა რიცხვი 60 პროცენტს შეადგენს. ჰასაკის მიხედვით: 25 წლამდი — 8,7 პროცენტი, 26-დან 35 წლამდი — 46,6 პროცენტი და დანარჩენები მხოლოდ 35 პროცენტი, ე. ი. სხვა სიტყვებით, საგუბერნიო კომიტეტების წევრთა 50 პროცენტს შეადგენენ წევრები 26—35 წლის ჰასაკით. განა შეიძლება იმის თქმა, რომ ეს მართლა მათუსაილის ჰასაკია, რომ იქ ზის ხალხი, რომელთაც მუხლები უკანკალებენ. ამ ციფრებიდან, მხოლოდ წინააღმდეგი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ჩვენ ზოგჯერ ძლიერ ახალგაზრდა შემადგენლობა გვყავს ჩვენში ძლიერ ხშირად მთელ მაზრებს, რომლებიც საგრძნობათ დიდ ტერიტორიას შეიცავენ, სრულიად ახალგაზრდა ამხანაგები განაგებენ. ასევეა გუბერნიებშიც.

ახლა ვნახოთ, როგორია მდგომარეობა საგუბ. აღმასკომ., ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების ამ ცენტრალური ადმინისტრატიულ, საბჭოთა ორგანოებისა. საგუბერნიო აღმასკომის წევრებს შორის პარტიაში თებერვლის რევოლიუციამდე შემოსულთა რიცხვი 22 პროც. შეადგენს, 1917 წელში შემოსულთა — 20 პროცენტს, 1918 და 1919 წ. წ. — 44 პროცენტს. ამ რიგად საგუბერნიო აღმასკომის წევრთა 64 პროცენტს შეადგენენ პარტიაში 1917 წელს და შემდეგ შემოსულები, და თუ მიუმატებთ დანარჩენებს, რომლებიც თებერვლის რევოლიუციის შემდეგ შემოვიდენ, მივიღებთ 78 პროცენტს. განა შეიძლება ამის შემდეგ თქმა იმის, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მმართველობის ცენტრალურ ორგანოებში არ არის საკმაო რიცხვი ახალგაზრდათა ამხანაგების, იმ თაობის, რომელიც ჩვენი რევოლიუციის უძლიერეს მხარეს შეადგენდა? 78 პროცენტი, მე ვფიქრობ, მაინც საკმაოთ დიდი პროცენტია.

ცნობები საგუბერნიო აღმასკომების წევრთა ჰასაკის შესახებ (ჩვენ გვაქვს ცნობები სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წევრთა შესახებაც, მაგრამ ვინაიდან ეს შედარებით მცირე ჯგუფია, ჩვენ მასზე არ შევჩერდებით) ასეთ სურათს იძლევა: 25 წლამდი — 6 პროცენტი, 26 დან 35 წლამდი — 54 პროცენტი. ისევ და ისევ თქვენ ხედავთ, რომ მთავარი ჰასაკი, 26 წლამდი, შეადგენს დიდ უმრავლესობას. შეიძლება განა ითქვას, რომ ჩვენი საგუბერნიო აღმასკომების შემადგენლობა აუცილებლათ გაახალგაზრდავებას საჭიროებს? მე ვფიქრობ, რომ უფრო ჩქარა, პირიქით.

გადავიდეთ ახლა პროფესიონალური კავშირების საგუბერნიო საბჭოების შემადგენლობაზე: კომპარტიაში თებერვლის რევოლიუციამდი შემოსულები შეადგენენ 19 პროცენტს, 1917 წელს შემოსულები — 10 პროცენტს, 1918—1919 წ. წ. შემოსულები — 46,7 პროცენტს. ამ რიგად 1917 წ. და შემდეგ შემოსულები შეადგენენ 71 პროცენტს. ჰასაკის მიხედვით შემადგენლობა ასეთია: 25 წლამდი — 9 პროცენტი, 26-დან 35 წლამდი — 56 პროცენტი. ისევ და ისევ, ამხანაგებო, აბა სად ვხედავთ ჩვენ მოხუცებით გავსებას, ძველი გვარდიის რაღაც მონოპოლიას? პირიქით, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ორგანოებშიც თითქმის 60 პროცენტს შეადგენენ, როგორც ეს უნდა იყოს, იმ ჰასაკის ხალხი ოქტომბრის თაობიდან, რომელიც შეადგენს ჩვენი რევოლიუციის საძირკველს. რომ ავიღოთ საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილების (არის ასეთი „საშინელი" დაწესებულება, რომელიც მტრის განსაკუთრებული ცეცხლის ობიექტი შეიქნა დისკუსიის დროს, ეს „აპარატჩიკები" „აპარატჩიკებიდან"), იქ აღრიცხვაზე იმყოფება 8.014 ხელმძღვანელი, სრულიად რუსეთის საოლქო და ნაწილობრივ საგუბერნიო მუშაკი. ამათგან 1917 წლამდი არალეგალურათ მომუშავე — 1906 ანუ 21 პროცენტი, დანარჩენი 79 პროცენტი. ჩვენი სრულიად რუსეთის, საოლქო, საგუბერნიო, და ნაწილობრივ სამაზრო მუშაკებისა (79 პროცენტი, ამხანაგებო!) შევიდა პარტიაში 1917 წლის შემდეგ. განა შეიძლება ითქვას, ამხანაგებო, რომ ჩვენ აქ დაცული არა გვაქვს პროპორცია და რომ ცენტრალური კომიტები ფიქრობდა: რამდენათაც მეტი წლის არიან, იმდენათ ყოველთვის უკეთესიაო? მე შემეძლო კიდევ ბევრი ასეთი ციფრები მომეყვანა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ესეც საკმაოა. მოვიყვან კიდევ ციფრებს მხოლოდ საგუბერნიო აღმასკომების თავმჯდომარეების შესახებ. ცნობები შეეხება 110 თავმჯდომარეს; ამათგან 1911 წლამდი იყო პარტიაში — 36 კაცი, 1916 წლამდი — 11 კ., 1917 წლამდი — 22, 1919 წლამდი — 33 და 1920 წლამდი — 8 კაცი. პროცენტულათ, ამხანაგები, რომლებიც შევიდენ პარტიაში 1917 წლის და შემდეგ, შეადგენენ 58 პროცენტს. განა შეიძლება ითქვას აქ, რომ არ არის დაცული პროპორცია? არა, ამის თქმა არ შეიძლება. ამრიგათ, მე ვფიქრობ, რომ ამ საკითხში, ამხანაგები ოპოზიციიდან სასტიკად შესცდენ არა მარტო თეორეტიულად, არა მარტო პრინციპიალურად, არამედ ფაქტიურადაც, როცა ასტეხეს განგაში იმის ნაცვლად, რომ გამოეჩინებინათ მასალები, შეეკრიბათ ცნობები.

რომ გამორკვეულიყო, რომ პარტია ხალხის განაწილების საქმეში არ იცავდა პროპორციას, მაშინ იქნებოდა საშიშროება, მაშინ საჭირო იქნებოდა შესწორებების შეტანა, მაგრამ მაშინ პარტიას ეს უნდა ექნა დამშვიდებით, ორგანიზაციულად, თავისი პარტიის საშუალებით, როგორც შეჰფერის ბოლშევიკებს. მაგრამ საქმეზე გამოირკვა, რომ არავითარ პროპორციის დარღვევას ადგილი არ ჰქონებია, რომ შესწორებების შეტანა საჭირო არ არის, რომ უფრო ჩქარა შესწორებების შეტანა საჭიროა მეორე მხრით. ამხანაგები არც კი შეეცადენ გამოერკვიათ სინამდვილე და ასტეხეს განგაში. ისინი საბრალმდებლო აქტს უდგენენ პარტიას, იჯრება აღელვების უდიდესი ტალღა ყველაზე უფრო მოუმწიფებელ ელემენტებს შორის, მოსწავლე ახალგაზრდობას შორის.

და აქ ზოგიერთი ციფრები თქვენთვის საინტერესო იქნება. მოსკოვში არის ხამოვნიკების რაიონი, სადაც სუსტი უმრავლესობით გაიმარჯვა ოპოზიციამ. საინტერესოა ამ რაიონის შემადგენლობის განხილვა. იქ სჭარბობს მოსწავლეობა (მრავალია უმაღლესი სასწავლებლები). მაგრამ თვით მოსწავლეებს შორის შეფარდება ასეთია: მოსწავლე კომუნისტების საერთო რიცხვიდან — 2.721 კაცი, — ყოფილი მუშები შეადგენენ 15 პროცენტს, ყოფილი გლეხები 7,7 პროცენტს, მოსამსახურეები და სხვები — 75 2 პროცენტს! აი როგორია ზოგჯერ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის შემადგენლობა. ამხანაგებო, თითქოს უკეთესი იქნებოდა, ვიდრე საბრალმდებლო აქტს წარუდგენდით თავის პარტიას და ახალგაზრდობას წაუსისებდით პარტიის მთავარ კადრებს, გასცნობოდით ზოგიერთ ციფრებს და გაგეგოთ, რომ მოსკოვის ერთ ერთ რაიონში და არა სადღაც ჩუხლომაში, სტუდენტებს შორის 75 პროცენტს შეადგენენ არა მუშები და არა გლეხები, არამედ როგორც აქ არის ნათქვამი, — „მოსამსახურეები და სხვები". თქვენ იცით, ჩვენ ვცდილობდით სერიოზული დაბრკოლებები შეგვექმნა ჩვენს პარტიაში შესვლისათვის. ვინ უხვევდა გვერდს

---

*) გაგრძელება იხ. „კომუნისტი" № 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში

(12 თებერვალი)

	მილ.
ჩერვონცები — —	2.270,000 ათ
გირვ. ფუნტ სტერლ. ეფექტ.	2.113.000
ჩეკები	2.021.000
დოლარი ეფექ.	—502—
ჩეკები	—465—
ოსმ. ქაღ. ლირა	—320—
იტალიური ლირა	—21,5 მილ.
ფრანგული ფრანკი	—22,5 მილ.
საბჭ. ფულის ნიშნები	—16,5

მუშკოოპის ფასები.

(13 თებერვალი)

პური 1 ხარ 13,000, პური 2 ხ. 10000, ძროხის ხორცი—45000 ათ. ღორის ხორცი—42000 ათ. შაქარი რაფინადი 88.500 ათ. ფხვნილი შაქარი—62,500 ათასი, კარტოფილი— 3500 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(13 თებერვალი)

პური 1 ხ.—18000 ათ., პური 2 ხარ. —15000, ძროხის ხორცი 60000 ათ. ღორის ხორცი 55000 ათ., შაქარი რაფინ. 90000 ათ., შაქარი ფხვნილი 64,000 ათ., კარტოფილი 4500 ათ.

ბირჟის მიწოდება

ჩაი „ცენტროსოიუზ“-ის და ცეილონის, სახურავი რკინა (ინგლ), „ურალმეტ“-ის პროდუქცია (სასოფლო-სამეურნეო იარაღი, ნაჯახები, ბარები, რელსები, რკინის გასაყრელები, მილები, მავთული და სხვ.), ნედლი აბრეშუმი, ნაწლევები (15,000 კონა), სპილენძი (ფურცლოვანი), როსტოვის პაპიროსები, საშენებელი ლურსმნები, ტყავის ღვედები, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, ხორბალი და პურეული, კვებრახის ექსტრაქტი, შვეიცარიული ყველი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიკური სოდა, ასანთი რუს., სახ. მეურ. საბჭოს საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ცემენტი და ეტერნიტი, ქვა-მარილი ნახიჩ., სალომასი, ყავა, ტომრები, თხილი, ქინაქინა, ჰიგროსკოპიული ბამბა, შაბიამანი ნიშადური.

ბირჟის მოთხოვნილება.

ნედლი ტყავეულობა, რუს. მანუფაქტურა, სალომასი, შაქარი რაფ. და ფხვნილი, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, პორტლანდიის ცემენტი, მზესუმზირას ზეთი, ქვა-მარილი ნახიჩევ., ასანთი რუს., რკინეულობა.

ოფიციალური განცხადებანი.

ზინგერის ხელის მანქანა—1425 ფრანკო—გამყიდვ. საწყობი.

ფეხსაცმელები (სამხ.), 4 მ. წყვილში, ფრანკო გამყიდვ. საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ყველა ხარისხის ფქვილზე, მცენარეულის და ტექნიკურ ცხიმებზე განწყობილება მტკიცეა; დანარჩენ ბაზრებზე—უცვლელია.

ვალუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცებმა და უცხო ვალიუტამ საგრძნობლად აიწიეს.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(12 თებერვალი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	2.270.000	60 კ.	136 200.000
2 „	4.540.000	70 „	158.900.000
3 „	6.810.000	80 „	181 600.000
4 „	8.080.000	90 „	204 300.000
5 „	11.350.000	1 მ.	227.000.000
6 „	13.620.000	2 „	454.000.000
7 „	15.890.000	3 „	681.000.000
8 „	18,160.000	4 „	808 000.000
9 „	20.430.000	5 „	1.135.000.000
10 „	22.700.000	6 „	1.362.000.000
20 „	45 400.000	7 „	1.589 000.000
30 „	68.100.000	8 „	1.816 000.000
40 „	90 800.000	9 „	2,043.000.000
50 „	113 500.000	1 ჩერ.	2,270.000.000

სტუდენტთა კოოპერატივი

სამი კვირის წინად პროლეტარულ სტუდენტთა ტფილისის ბიურომ გახსნა წიგნის კოოპერატივი, რომლის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების და საერთოდ ყველა მოსწავლეთა მომარაგება ლიტერატურით და სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით.

კოოპერატივი შედის საერთო წესით ცეკავშირში. კოოპერატივს აქვს 2000 ჩერ. მან. ძირითადი თანხით.

თუმცა ცოტა დრომ განვლო, მაგრამ კოოპერატივი შესამჩნევად გამაგრდა და კარგად მოაწყო წიგნების გაყიდვა: მედიცინა, აგრონომიული, ისტორია, ფილოსოფია და სხვ.

გარდა ამისა კოოპერატივში იყიდება საკანცელარიო ნივთები.

კოოპერატივის მიზანია—მოაწყოს აგრეთვე საკუთარი გამომცემლობის ორგანიზაცია.

ხელფასის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის შრომის და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივი ორგანოები აწარმოებენ ხელფასის გამოკვლევას კავშირებში ლითონის, სამთომადნო, მეთამბაქოეთა, რკინისგზელთა, განათლების მუშაკთა და სპეცების; იმ დაწესებულებებში, რომლებსაც ფედერატიული ხასიათი აქვს, გამოკვლევას აწარმოებს ამიერ | კავკ. ინსპექცია, ხოლო საქართველოს მასშტაბში—საქართველოს ინსპექცია.

ხელფასის საკითხის გამოკვლევის დროს განხილულ იქნება საკითხები: სატარიფო ცხრილის და ხელფასის ნორმები ცალკე კატეგორიათა შორის, ხელფასის რაოდენობა ომამდე არსებულ ხელფასთან შედარებით, ხელფასის გარანტიები, მისი გაუმჯობესება, მისი აღრიცხვა, ხელფასის გავლენა პროდუქციის ღირებულებაზე კრედიტი, საკითხი კონფლიქტების შესახებ.

პროფკავშირებში

განათლების მუშაკთა სრულიად საქართველოს მესამე ყრილობისათვის

საბჭოთა საზოგადოებრივობა მეტისმეტად პასუხისმგებელ მომენტში იკრიბება ჩვენი მესამე ყრილობა. ეს მომენტი პასუხისმგებელია იმიტომ, რომ სახელმწიფოს საჭესთან აღარ არის უკვე საერთაშორისო პროლეტარიატის გამობრძმედილი ბელადი, აღარ არის ლენინი... ლენინი აღარ არის, მაგრამ არის პროლეტარული რევოლიუციის უძლიერესი დასაყრდენი, რომელიც მის მიერ არის შექმნილი, არის მისი ანდერძი. მხოლოდ ორი მათგანი მინდა მოვაგონო დღეს ჩვენს ყრილობას.

— „საჭიროა სწავლა, სწავლა და სწავლა“, ამბობდა ამხ. ლენინი, საჭიროა გავანათლოთ მუშურ-გლეხური ქვეყანა, რადგან მხოლოდ განათლებულ ქვეყანას შეუძლია გამარჯვებული გამოვიდეს ბრძოლიდან.

— საჭიროა უდიდესი ყურადღება მიექცეს განათლების მუშაკს, „აუცილებელია სახალხო მასწავლებლის სათანადო სიმაღლეზე დაყენება“, რადგან ის ერთერთი მთავარი „ვინტია“ საბჭოთა აღმშენებლობის. ეს ანდერძი მინდა მოვაგონო დღეს ყრილობას.

ამხ. ლენინი პასუხისმგებლობას რევოლიუციის ბედისათვის აკისრებს განათლების მუშაკებს, პასუხისმგებლობას მასწავლებლობის კეთილდღეობისათვის ის აკისრებს საბჭოთა სახელმწიფოს.

ყრილობამ, რომელზედაც წარმოდგენილი არიან განათლების მუშაკები მთელ საქართველოდან, უნდა სთქვას, და ჩვენ ვიცით, იტყვის დღეს, რომ ის იღებს ისტორიის მიერ მასზე დაკისრებულ პასუხისმგებელ და საპატიო ამოცანას.

ხ. შავერდოვა.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მეორე ყრილობა

პირველი სხდომა

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიუროს მოქმედება

(ამხ. გულუმიანის მოხსენება).

აკეთებს რა მოხსენებას გასული წლის მოქმედების შესახებ. ამხ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სექციის წევრთა რაოდენობა თითქმის ორჯერ გაიზარდა: 272 ნაცვლად, დღეს 322 წევრი ითვლება. გარდა ამისა ჩატარებულია მთელი რიგი ორგანიზაციულ მუშაობათა, მოხდენილია ხელახალი რეგისტრაცია; ამჟამად სწარმოებს მუშაობა ჩვენი სექციის ცალკე ადგილების საორგანიზაციოდ, ცენტრ. ბიუროსთან დამყარებულია მჭიდრო კავშირი.

სატარიფო მუშაობის დარგში.

დადებულ იქნა მთელი რიგი სატარიფო შეთანხმებათა, დღესდღეობით კი სწარმოებს მუშაობა ახალი ტარიფის ადგილობრივ პირობებთან შესაფარდებლად.

ცენტ. ბიურო, რომელმაც სექციის მუშაობა მოიწონა, გვირჩევს ერთიან სატარიფო ცხრილის შემოღებას 1:8-—შეფარდებით, როგორც ლიტერატურულ ისე ტექნიკურ მომუშავეთათვის. ამავე დროს წინადადება მიეცა ბიუროს გაადიდოს დამუშავების ნორმა. სტამბების რედაქციებზე გადაცემის საკითხს წინ აღუდგა პოლიგრაფ. განყოფილება და მბეჭდავთა კავშირი.

ამხ. გიულუმიანის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

მეორე სხდომა.

სექციის კულტმუშაობის შესახებ (მომხსენებელი ამხ. ავინირი). საანგარიშო პერიოდში სექციას კულტმუშაობა არ უწარმოებია. ამ ჟამად ამ საკითხს დიდი ყურადღება ექცევა, გადადგმულია სათანადო ნაბიჯი, ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კლუბთან მოეწყობა მუშკორთა მოსამზადებელი კურსები სამი სექციით (ქართული, რუსული და სომხური) აუცილებელია პოლიტიკური და პროფესიონალური მოუმზადებლობის ალკვეთა. კლუბის გახსნით საძირკველი ეყრება კულტსაგანმანათლებლო მუშაობას, მუშაობის ცენტრად უნდა გახდეს კლუბი, რასშიაც კავშირმა ხელი უნდა შეუწყოს მომუშავეთ.

კულტმუშაობის შესახებ გამართულ კამათში მონაწილე ამხანაგები აღნიშნავენ, რომ აუცილებელია აგრეთვე ტექნიკური მოუმზადებლობის ლიკვიდაციაც, რისთვისაც საჭიროა მოეწყოს საგაზეთო წარმოებებში ხშირი ექსკურსიები.

მესამე სხდომა

მუშკორთა ორგანიზაციის შესახებ

(მომხსენებელი ამხ. კუზმინა)

მომხსენებელი ეხება ა | კავკასიის განსაკუთრებულ პირობებს, რომელნიც ხელს უშლიან მუშკორების ორგანიზაციის საქმეს (სამრეწველო—საწარმოო დაწესებულების ნაკლებობა, ენათა მრავალგვარობა და სხვა). მიუხედავად ამისა, ტფილისში და ა | კავ-ში არსებობს საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმი მუშკორებისა, რომელთა ორგანიზაცია და დარაზმვა დღის საკითხს წარმოადგენს. მომხსენებელს მოჰყავს ცნობები მუშკორთა რაოდენობის შესახებ ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ პრესაში.

რედაქციებს მუშკორებთან აქვს სისტემატიური კავშირი და ურთიერთობა, ყოველი გაზეთი მართავს თავის მუშკორების კრებას თავისივე რედაქციაში, სადაც მათ ეძლევათ დარიგებანი და ინსტრუქციები. მუშათა კორესპონდენტების რიცხვიც იზრდება. მუშკორები სწერენ ჩვენი ცხოვრების ყველა საჭირბოროტო კითხვებზე.

მუშკორთა დევნას ფარული სახით დღესაც აქვს ადგილი, რასაც უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა, ყრილობამ ამ საკითხს სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს.

ჩვენი მორიგი ამოცანები არის მუშკორთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება (მუშკორთა ბიუროს შექმნა) მუშკორთა,—კლუბის ირგვლივ თავის მოყრა, საკლუბო მუშაობის გაჩაღება მუშკორთა შორის. დასასრულ ამიერ-კავკასიის მუშკორთა ყრილობის მოწვევა.

კამათი.

მოხსენების გარშემო გაიმართა ხანგრძლივი კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს უმთავრესად მუშკორებმა. უკანასკნელნი მუშკორების, უზრუნველსაყოფად დევნისაგან, მოითხოვდენ ბიუროს ორგანიზაციას. მუშკორები აღნიშნავდენ აგრეთვე დიდს წარმატებას და პროგრესს თავიანთ საგაზეთო მოღვაწეობაში, რაც რედაქციების მხრივ სისტემატიური ხელმძღვანელობის ნაყოფია. ამხანაგები ერთხმად მოითხოვენ აგრეთვე, ა | კავ. მუშკორთა ყრილობის მოწვევას და მუშკორთა მოსამზადებელი კურსების გახსნას.

ბათომის წარმომადგენლის მოხსენება.

(მომხსენებელი ამხ. პავჩინსკი).

უპირველესად ყოვლისა, მომხსენებელი აღნიშნავს იმ ნივთიერ უსახსრობას, რომელსაც პროვინციელი გაზეთები განიცდიან. კერძოთ იგი ეხება ბათომის გაზეთს, რომელიც უსახსრობის გამო რამოდენიმეჯერ დაიხურა. პროვინციელი გაზეთები დახმარებას არ ღებულობენ და იძულებული ხდებიან საკუთარი ხარჯით აღრიცხვით იარსებონ.

შემდეგ მომხსენებელი გადადის მუშკორთა ორგანიზ. საკითხზე ბათომში. ბათომის რუსულ გაზეთს ამჟამად ჰყოლია 37 მუშკორი, რომელიც დიდ დახმარებას უწევენ გაზეთს, როგორც მასალების მიწოდებით, ისე გაზეთის გავრცელების მხრივ.

სამანდატო კომისიის მოხსენება.

სულ ყრილობას დაესწრო 36 დელეგატი, გადამწყვეტი ხმის უფლებით, აქედან ტფილისიდან არის 33, აჭარისტანიდან—3 დელეგატი. გარდა ამისა სათათბირო ხმით ყრილობას დაესწრო—28 დელეგატი, მათ შორის 17 მუშკორი, 6 სამხედრო კორესპონდენტი და 5 კანდიდატი. სულ ყრილობაზე გამოცხადდა 46 კაცი: ამ რიცხვიდან ვაჟი—44, ქალი—2.

ეროვნების მიხედვით: ქართველი—15, სომეხი—14, რუსი—9, თათარი—2, ებრაელი—2, პოლონელი—2, ბერძენი—2.

პარტიულების მიხედვით: კომუნისტები—26 დელ., ახალგ. კომ. კავ. წევრი—2, უპარტიო—18 დელ.

ახალი ბიუროს არჩევნები.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექცია ბიუროში ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ტფილისიდან—გიულუმიანი, ნ. კიკნაძე და ავენირი, ბათომიდან—პავჩინსკი. აფხაზეთს დათმობილი აქვს ერთი ადგილი. კანდიდატებად არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. გ. მალაშხია და კუზმინა.

დასასრულ, ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს მოსკოვში.

რეზოლიუციები

ყრილობა ბიუროს მუშაობას **სატარიფო-ეკონომიურ დარგში** დამაკმაყოფილებლად აღიარებს და მომავალში ხელფასის რეალურ დებულების უზრუნველსაყოფად აძლევს ბიუროს სახელმძღვანელო დირექტივებს.

კულტმუშაობის დარგში ყრილობა აღნიშნავს რა კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის სისუსტეს სხვადასხვაგვარ დაბრკოლებათა გამო, იმედს გამოსთქვამს, რომ ყრილობაზე გამომუშავებული სამუშაოს გეგმა ცენტ. ბიუროს მისცემს ფართე გასაქანს და თაოსნობის გამოჩენის შესაძლებლობას კულტ. მუშაობის სფეროში.

მუშკორთა დარაზმვა—ორგანიზაციის საკითხში—ყრილობა ადგენს ყოველმხრივ განავითაროს და განამტკიცოს ორგანიზაცია მუშკორთა, რომელნიც დარაზმული უნდა იქნენ რედაქციებთან მოწყობილ ბიუროების გარშემო.

ყრილობა ამტკიცებს აგრეთვე სახელმძღვანელო გეგმას მუშკორებთან მუშაობის შესახებ, იღებს დირექტივებს მუშკორთა დევნის ალსაკვეთად და სხვა.

დასასრულ ყრილობა აუცილებელ საჭიროებად აღიარებს მუშკორთა ქსელის გაერთიანებას ა.-კ. მასშტაბით, რისთვისაც სექციის ბიუროს ევალება დანიშნოს დრო ა. კ. მუშკორთა ყრილობის მოსაწვევად და აწარმოოს მოსამზადებელი მუშაობა.

მეცნიერება და ტექნიკა

მოლაპარაკე ბიბლიოთეკა.

ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკასთან უცხოეთის ჟურნალ-გაზეთების ცნობით უნდა გაიხსნას განსაკუთრებული განყოფილება „ხმის“ (ფონეტიკური) ანუ როგორც უწოდებენ „მოლაპარაკე ბიბლიოთეკა“. ამ ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი იქნება 217 სხვადასხვა ენა და არა მარტო სიტყვებით, არამედ ცოცხალი ხმებით. ამ ბიბლიოთეკაში მომუშავეს საშუალება ეძლევა არა თუ მარტო გაიგონოს ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ადამიანის ხმა, არამედ კიდეც დაინახოს მისი სახე ეკრანზე, დაინახოს მისი სახის გამომეტყველება ეკრანზე, თუ როგორ წარმოსთქვამს ის თითოეულ სიტყვას, ცალკე ხმას. ლაპარაკის მოსმენასთან და მოლაპარაკის სახის შესწავლასთან ერთად ეკრანზე დაინახავს კაცი თუ როგორ იწერება წარმოთქმული სიტყვები ამ ენაზე, სიტყვები დაწერილი იქნება იმ ენაზე, რომელზედაც ეკრანზე მოლაპარაკე კაცი წარმოსთქვამს და ამავე დროს ლათინური ალფაბეტითაც. თხელი დაფები, რომლებზედაც ჩაწერილია ხმა, დამზადებულია სპილენძისაგან, ისე რომ ისინი საუკუნეების განმავლობაში არ გაფუჭდებიან.

ამრიგად შეკრებილ მასალებს უდიდესი მნიშვნელობა ექნება ისტორიის, გეოგრაფიის, ანტროპოლოგიის, ფონეტიკის და მუსიკის შესწავლისათვის.

ბიბლიოთეკის განკარგულებაში უკვე არის შემდეგი ენები: მაგიარ, მურმი, ლიმბუ (აზია, გიმალაი), ავარული (დაღესტანი), გორო, იორუბო, მანდარა (აფრიკა), ხოვა, სინაბა (კუნძული მადაგასკარი). განსაკუთრებული განყოფილება აქვს დათმობილი „დიდი“ პიროვნებების ხმებს. ასე მაგალითად ჩაწერილია ვილჰელმ მეორეს სიტყვა ომის გამოცხადების დროს, ჰინდენბურგის სიტყვა ჯარებისადმი და ინდუსების ცნობილი პოეტის რაბინდრანატ თაგორეს სიტყვა.

უდიდესი თეატრი მსოფლიოში.

ნიუ-იორკში დაიწყეს მსოფლიოში უდიდესი თეატრის აშენება. თეატრი დაიჭერს 2,700 კვადრატულ საჟენს ერთ დესეტინაზე მეტს. შენობა იქნება 37 სართულიანი და მთელი წინა ნაწილი შავი მარმარილოდან იქნება გაკეთებული, თეატრს ეწოდება „მუსიკისა და ხელოვნების ნაციონალური ტაძარი“. მისი კოლონები შემკული იქნება მსოფლიოს ცნობილი მუსიკოსების ქანდაკებებით დაწყებული მითიურ ორფეიდან. კოლონებს შორის დადგმული იქნება ცხრა მუზის ქანდაკება. თეატრს ქვეშ მიწაში აშენებული იქნება სადგური, სადაც თავს მოიყრის ნიუ-იორკის ყველა რკინის გზები (მიწის ქვეშ). შენობაში იქნება 64 ლიფტი, სამოც-სამოცი კაცის ასაყვანად ზედა სართულებში. საოპერო დარბაზი, უდიდესი მსოფლიოში, 10,000 კაცს დაიტევს, მეორე სართულში მოწყობილი იქნება მუზეუმი, სადაც თავს მოუყრიან ყველა გამოჩენილი კომპოზიტორების ნაწერებს. შენობაში იქნება ბაღები, საფოსტო კანტორები და საექიმო კაბინეტები—მთელი შენობის ასაგები ხარჯები უდრის 25.000.000 დოლარს (50.000.000 ოქრ. მანეთი).

ქრონიკა

— **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო სახელგამის მიერ გამოცემული შემდეგი წიგნები: 1) ალ. ყაზბეგი, ტომი 1-ლი, 2) შ. დადიანის პიესები, 3) შ. ნუცუბიძის—ლოღიკა, 4) ს. იაშვილის საზოგადო გეოგრაფია, მეტრეველი და არჯევანიძე—მცენარეთა აგებულობა და სიცოცხლე, ნაწილი მეორე. წიგნები სუფთად არიან გამოცემულნი.

— **სადახლოს სახ. მამული.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა განათლების კომისარიატს, რომ სადახლოს სახალხო მამული გამოიყენოს სამეცნიერო მიზნით ტფ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტისთვის.

— **გლეხთა კომიტეტების რაოდენობა.** ამ ჟამად ტფილისის მაზრაში მოწყობილია გლეხთა კომიტეტები: სასოფლო—104 და სარაიონო—8.

— **დახმარება ინვალიდებს.** ქუთ. სამაზრო გლეხთა კომიტეტი შეუდგა სამზადისს გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლათ, რომლის განმავლობაში დახმარება გაეწევა სასოფლო-სამეურნეო მუშაობის შესრულებით და თესლის მიწოდებით ინვალიდებს, წითელარმიელთა ოჯახებს და გაჭირვებულ ქვრივ ობლებს.

— **საიჯარო გადასახადის შემცირება.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადებით მიმართა ქალაქის აღმასკომს, რომ შეამციროს საიჯარო გადასახადი იმ დარბაზებზე, რომელიც დაჭერილი აქვს სახელმწიფო გამომცემლობას.

— **დახმარება ავადმყოფობის გამო.** დამზღვევმა კასამ 1923 წ. დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთ დახმარების სახით გასულა 1 ტრილიონი 344 მილიარდი და 687 მილიონი მანეთი.

— **სანატორიუმ „არაზინდოხათვის“.** დამზღვევმა კასამ სანატორიუმ არაზინდოხთვის 1923 წ. გაიღო სულ 122 მილიარდი და 20 მილ. მან.

— **დაბადება მეტია სიკვდილზე.** დამზღვევი კასის სტატისტიკური განყოფილების ცნობით 1923 წლის განმავლობაში დაბადების რიცხვი (ტფილისში) დაზღვეულთა ოჯახებში მეტია 100 პროცენტით, სიკვდილის შემთხვევაზე.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 11 თებერვალს შრომის ბირჟაზე გამოცხადდა 429 უმუშევარი. ახლათ ჩაეწერა 137. მოთხოვნილება იყო—31. სამუშაოზე გაიგზავნა 128.

— **ყოფილ კატორღელთა კრება.** კვირას, 17 თებერვალს დილის 10 საათზე სრულიად რუსეთის ყოფილ კატორღელთა ტფილისის განყოფილების შენობაში გაიმართება საზოგადოების წევრთა საერთო კრება.

— **შემნახველი კასები ბათომში.** ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა ბათომში გახსნას ორი შემნახველი გამსესხებელი კასა.

— **შემნახველ გამსესხებელი კასების ცენტრალური სამმართველო.** ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატი შეუდგა შემნახველ გამსესხებელ კასების ცენტრალურ სამმართველოს დასაარსებლათ გეგმის გამომუშავებას.

— **სახელმწიფო გამომცემლობის შტატი.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა შრომის და განათლების კომისარიატებს, რათა მათ მოახდინონ სახელმწიფო გამომცემლობის შტატის მაქსიმალური შემოკლება.

შემთხვევები.

— თვითმკვლელობა. 9 თებერვალს, ღამის 1-ლ საათზე, გუნიბის ქ. № 3, ცეკავშირის საქმის მწარმოებელმა ნიკოლოზ ვლადიმერის ძე დიტავესკმა პურის საჭრელი დანით გამოიჭრა ყელი. გვამი გადაგზავნილი იქნა რესპ. მთავარ საავადმყოფოში. მიზეზი თვითმკვლელობისა ყოფილა სულით ავადმყოფობა.

— ქურდობა. 10 თებერ. დღის 1-ლ საათზე, რუსთაველის პრ. № 35, ოთახის ჭერის გამოჭრით გაქურდეს მოქ. ნერსეს იენკობერიანცის ბინა. წაღებულია სხვადასხვა ტანისამოსი რამდენიმე ათეული ჩერვონეცის.

— გვამის პოვნა. 8 თებერვალს, მტკვრის ნაპირას იპოვეს დამხრჩვალი ქალი დაახლოებით 20—22 წლისა. ვინაობა გამოურკვეველია. ძიება სწარმოებს.

— ქურდობა. 9 თებერვალს, ღამით კამოს ქ. № 80 გაქურდეს მოქ. იაკობ გაიანოვის ბინა. წაღებულია 50 ჩერვონეცის ნივთები. ქურდი ალექსანდრე ბარისოვი შეპყრობილი იქნა ნაპარავი ნივთებით.

— ცეცხლი. 10 თებერვალს, პირაგოვის ქ. № 3, მელითონეთა სახლს გაუჩნდა ცეცხლი. ამავე დღეს ცეცხლი გაუჩნდა მეთუთუნეთა სახლს (ტატიანას ქ. № 6). ორივე ადგილას ცეცხლი ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

— ბანდიტების მოკვლა. ალბულაღის რაიონში ადგილობრივი მილიციის მიერ მოკლული იქნა ცნობილი ბანდიტი სულკა ჯიოშვილი.

დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტგანყოფილება ამით აუწყებს ყველა სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციებს, რომ ხუთშაბათს, 14 თებერვალს, საღამოს 6 საათზე დივიზიის ცენტრალურ კლუბში (ყოფილი პატარა თეატრი) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ქართულ დივიზიის ყოფილ ძირითადი სამოსწავლო ათასეულის სამხკომის ამხ.

ობოლაძის

და ამავე ათასეულის უფროსთა შემადგენლობის ამხ.

ჩუბინაშვილის და სანიკიძის

ბანდიტიზმთან ბრძოლაში დაღუპვის დღიდან წლის შესრულების გამო.

დივიზიის პოლიტიკური განყოფილება სთხოვს ყველა სამხედრო სასამოქალაქო და მუშათა ორგანიზაციებს აღნიშნულ დროს გამოგზავნონ თავის წარმომადგენელი.

ამხ. საშა ობოლაძე

(სოფელ ოფეთიდან)

ეს იყო 1918 წელს, როდესაც ჩვენს თემს ესტუმრა ამხ. საშა ობოლაძე, მაშინ, როდესაც ოქტომბრის რევოლიუციის თავზარდაცემული მუქთახორები იცვლიდნენ სამოსელს და ცხვრის ქურქებში გადაცმული მგლები განაგრძობდნენ გლეხების გონების დაჩლუნგებას. როდესაც ჩვენს გომის თემში მოუყარეს თავი გლეხებს და ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული აგენტები შეუდგნენ თავისი მოვალეობის ასრულებას, სწორეთ იმ წუთში მოგვევლინა ძვირფასი სტუმარი ჩვენი საშიკო. ამ დრომდი იგი უცნობი იყო ჩვენი გლეხებისათვის, მაგრამ მისმა მქუხარე ხმამ და გულის სიღრმიდგან ამოხეთქილ რევოლიუციონურ სიტყვებმა მიიზიდა მანამდე გამოურკვეველი გლეხების სული და გული. მის შემდეგ ყველა ნატრობდა მასთან უფრო დაახლოვებას, მის უფრო გაცნობას. რაც დრო გადიოდა, მისი სიტყვები უფრო და უფრო იკიდებდა ფესვებს მშრომელთა გულში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ ის დატვირთული იყო საქმეებით, ჩვენ მაინც არ გვივიწყებდა. ხევსურეთიდან დაბრუნებისთანავე გამოეშურა ჩვენსკენ.

როგორ იყო საშა აღტაცებული სიხარულით, როდესაც ის გადასცქეროდა ოფეთის მთის მწვერვალებიდგან რიონის ჭალებს და სტკბებოდა მით, რომ ამ ხავერდივით გადაშლილ ბუნებას ფლობდა მხოლოდ გლეხი, მხოლოთ პატიოსანი მშრომელი და არა მისი სისხლის მწოველი მემამულეები. საშა ამ ჯერობაზედ ჩვენთან დიდხანს არ დარჩენილა. შემდეგ გავიგეთ, რომ ის ოზურგეთში იმყოფებოდა. მოველოდით, რომ, ჩვენთან გამოივლიდა და უნახველათ არ დაგვტოვებდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თებერვლის თერთმეტს გადმოგვეჩხავლა შავმა ყორანმა საზარელის ხმით: „თქვენი სიამაყე საშა თქვენთან ვერ მოვა, მას გუშინ გურიაში, სოფელ ლიხაურის მახლობლათ ქურდულათ ჩასცეს გულს ლახვარი მშრომელი ხალხის მტრების მიერ შესყიდულმა ავაზაკებმაო“. მას აქეთ განვლო წელიწადმა და ვერ ვხედავთ მას, ვინც ოცნებობდა ჩვენს ბედნიერებაზედ.

დღეს მხოლოდ ვათვალიერებთ იმ ადგილებს, სადაც ის მჯდარა, სადაც ის წამოწოლილა და სადაც მას გაუვლია...

ძვირფასო საშა! თუმცა შენს მოგონებაზე თვალებზედ ცრემლებს ვერ ვიკავებთ, რაც ეწინააღმდეგება შენ გულის სიღრმიდგან ამოხეთქილ სიტყვებს: „სირცხვილია გმირებზედ გლოვაო“, მაგრამ დიდი იყო მწუხარება, რომელიც ჩვენ გვარგუნა შენმა ტრაგიკულათ დაღუპვამ. იცოდენ მტარვალებმა, რომ შენს ანდერძს არ ვუღალატებთ. იძინე ტკბილათ, ძვირფასო საშა! თუ შენ დაიდევი მტლად დიად მიზანს, შენს მიერ აფრიალებულ წითელ დროშას არ დავხრით მანამდი, სანამდი ჩვენში და ჩვენს მოძმე მუშებში იარსებებს სიცოცხლის სუნთქვა. ზიზღი გამცემლებს! საუკუნე ხსენება შენ, წითელო არწივო!

სიმონ გოგიშვილი.

ხელოვნება

სახალხო სახლი

„ციცინათელა“ ნ. შიუკაშვილის.

8 თებერვალს წარმოდგენილ იქნა ოთხ მოქმედებიანი დრამა—„ციცინათელა“—ნ. შიუკაშვილისა.

ეს პიესა პირველად მიდის ამ სეზონში და ერთ უმშვენიერეს წარმოდგენათ უნდა ჩაითვალოს იგი. შიუკაშვილის ნაწერებში—„ციცინათელა“ არის ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი. ლამაზი დრამატიული ნასკვი—ფაქიზ ქსოვილებით არის წარმოდგენილი. მოხდენილი, წყნარი მეტყველება ქართული. გულითადი და ინტელიგენტური მიდგომა მხატვრულ ფერებისადმი. ყველაფერი ეს სიამოვნებით ატყვევებს მაყურებლის გულისყურს.

საუცხოვოდ შეწყობილ ანსამბლში—ცენტრალურ ფიგურათ უნდა ჩაითვალოს ნინო ჩიხლაძის ქალი. იგი ასრულებდა ბაბოს როლს. ყალბი ფსიქოლოგიური წარმოდგენაა—თითქოს სახალხო სახლში რაღაც ჩამორჩენილი მსახიობები ასაღებდენ თავიანთ უნიჭობას. საკმარისია იმ საღამოს გენახათ ნინო ჩიხლაძე და იმისი სახით დიდი მასშტაბის მსახიობი წარმოგიდგებოდათ თვალ წინ თუ ასეთი წარმატებით განაგრძობს მუშაობას—მომავალში მთელი ქართული თეატრის სიამაყედ გარდაიქცევა იგი. საამისოდ იგი დასაჩუქრებულია შესაფერი სცენიური გარეგნობით, სანდომიანი ხმა—თანაბარი და მკაფიო. მთელი არსებით განცდა როლისა გადაუჭარბებელის გატაცებით. და ყველაზე მეტად კი—ღირსეულ ნიჭზე დაფუძნებული რწმენა თავის ძალ-ღონეში. მთელ დრამატიულ მსვლელობის დროს ვერ გაჰკილავთ ვერც ერთ ყალბი ხაზით, ვერც ერთი ულაზათო პათოსით. ასეთი დაკვირვებული და თანაც მგზნებარე თამაში—უეჭველათ თავდებია ყოვლად ნიჭიერი მსახიობისა.

ციცინათელას როლში გამოვიდა ჯერ სულ ახალგაზრდა მსახიობი ე. ავალიშვილის ასული. მისი მინიატიური არსება—გარეგნობით თუ ხმით—ყოვლად შესაფერია ამ როლისთვის. მხოლოდ ეტყობა—ზევრსა ცდილობს, რაც შეიძლება კარგათ ითამაშოს და ამიტომ ზოგჯერ ბუნებრიობის საზღვარს გადასცდება.

თავად გაბრიელის როლში—თაზიშვილი, მაქსიმესაში—ნინიძე, ლევანისაში—ლითანიშვილი—ყველა თავიანთი ეშხიანი თამაშით ქმნიდა იშვიათ ანსამბლს.

დადგმაშიც ლევამიჩავს შეეტანა ნამდვილი მხატვრული გემოვნება. მოსაწყენ ოთახების მაგიერ მან მთელი მოქმედებანი ლამაზათ დაუკავშირა ბუნების წიაღს. სულიერ განცდებთან ერთად კარგათ იყო შეფარდებული განათებაც და ბრძოლის ქუხილიც.

სახალხო სახლი წარმატების გზას ადგია. რაც დრო გადის—იგი უფრო და უფრო მხატვრულ წარმოდგენებს იძლევა.

ლელი.

ვლადიმერ გოროვიცის კონცერტების ციკლი.

პიანისტ გოროვიცის პირველი კონცერტი შესდგა 10 თებერვალს სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში. მისმა კონცერტმა აუარებელი საზოგადოება მიიზიდა.

საზოგადოება თავშეკავებული შეხვდა კონცერტანტს. მაგრამ ბახის პრელიუდიის პირველ აკორდებისთანავე აუდიტორია აღტაცებაში მოვიდა. ყველა გრძნობდა, რომ ესტრადაზე მხატვარი იყო. პროგრამის დანარჩენმა ნომრებმა კიდევ უფრო მოაჯადოვა საზოგადოება და კონცერტის ბოლოს მთელმა აუდიტორიამ მხურვალე ოვაციები გაუმართა ახალგაზრდა პიანისტს.

ვლ. გოროვიცის შესრულებაში ტექნიკური მხარე მთელი თავისი მრავალფეროვნებით აყვანილია უმაღლეს წერტილამდი. მის შესრულებას ახასიათებს არა მარტო ტექნიკური დამთავრებულობა, არამედ, უმთავრესად, მხატვრული გადმოცემა, ხმის სილამაზე, დინამიურობა, ინტუიცია, სიღრმე და ტემპერამენტი. ყველა ეს თვისებები უხილავ ძაფებით აკავშირებს არტისტს აუდიტორიასთან, იწვევს აღტაცებას, აღელვებს და გულის სიღრმეში სწვდება მსმენელებს.

გოროვიცის კონცერტი პიანისტურ ხელოვნების ნამდვილი დღესასწაული იყო.

პირველი კონცერტის პროგრამის უდიდესი ნაწილი მიძღვნილი იყო ი. ს. ბახის და ფრანც ლისტის შემოქმედებისათვის. ძნელი სათქმელია, პროგრამის რომელ ნომერს უფრო კარგათ ასრულებს ვლ. გოროვიცი! ყველაფერი კარგათ, მხატვრულათ არის გადმოცემული.

პიანისტის მიერ შესრულებული იყო ლისტის პოემა „Funerailles“ და „Cloches de genéve“ (ჟენევის ზარები), შესრულებული იყო აგრეთვე ვივალდის კონცერტი, „ცეკვა“ ვაგნერის ოპერიდან „მფრინავი ჰოლანდიელი“, რომელშიაც პიანისტმა დაგვანახვა თავისი უაღრესათ განვითარებული ტექნიკა (perle) და მოცარტის პარაფრაზი „დონ ჟუანი“.

ყველგან პირველ რიგში სდგას განსაცვიფრებელი ტექნიკა, ბრწყინვალე ფრაზიროვკა, დამთავრებული მუსიკალური პერიოდები და დინამიური დასურათებანი.

არტისტმა არაჩვეულებრივი აღტაცება და ოვაციები გამოიწვია აუდიტორიაში. შესრულების დროს გოროვიცი მთლიანად გადადის შემოქმედებაში—ის ქმნის და თვითონ აღტაცებულია ამ ქმნილებით.

ვლ. გოროვიცი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. მომავალში ის კიდევ უფრო დიდი პიანისტი გახდება.

ბ. ხეხუთოვი.

— **„ჩვენი ქვეყნის რაინდი“ ლენტზე.** სახ. კინო მრეწველობა შეუდგა ევ. ნინოშვილის მოთხრობის „ჩვენი ქვეყნის რაინდი“-ს ეკრანზე გადაღებას. სურათი გადაღებული იქნება ადგილობრივ გურიაში.

— **ტასო აბაშიძის იუბილე ბათომში.** ახლო ხანში ბათომში გაიმართება ტასო-აბაშიძის იუბილე.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა**—„კარმენ“ მუხტაროვას მონაწილეობით.

— **დრამა**—სომხური წარმოდგენა.

— **სახ. სახლი**—რუსული წარმოდგენა.

ამ დაბრკოლებებს. მუშა ვერ უხვევდა გვერდს, გლეხი უფრო ნაკლებ უხვევდა გვერდს, ახერხებდენ გვერდის ახვევას ეს, „მოსამსახურეები და სხვები“. მათ ყველა დაბრკოლებები გადალახეს და შეძვრენ პარტიაში. და ეს გასაგებიც არის. რასაკვირველია, უკრაინელი ექსტერნი ლაღი ყმაწვილია, ის ათჯერ გაუსწრებს წინ შუელ ფეიქარს. ფეიქარს დაეზარება ათჯერ წასვლა კომიტეტში, მან არ იცის როგორ კეთდება ეს, ის არ დაუწყებს ძებნას რეკომენდაციებს, ექსტერნი კი იშოვნის ხუთ რეკომენდაციასაც და შეძვრება პარტიაში. ეს შეეხება ჩვენი პარტიის თუ „მწარე“ ყოფას არა, არა ტკბილ ყოფას მაინც, მაგრამ ეს ფაქტია. და იმის მაგიერ, რომ დაენახათ ეს, იმის მაგიერ, რომ გაეგოთ, თუ როგორ მდგომარეობაშია საქმე ხამოვნიკებში, ყველაზე ავტორიტეტიანმა ამხანაგებმა ოპოზიციიდან ასტეხეს განგაში ამ მიმართულებით ჩვენი პარტიის მთავარი კადრების წინააღმდეგ, არ გაერკვენ ფაქტებში, არ დაინახეს ის, რომ თუ არსებობს რაიმე საფრთხე, სწორეთ მეორე მხრით.

რომ გავათავო საქმე ციფრებთან, მე მოგიყვანთ თქვენ ცნობებს წითელ ჯარში მყოფ კომუნისტების შესახებ; როგორც ვთქვი მე, მათი რიცხვი 40 ათასამდი აღწევს, ნამდვილი ციფრა—38.179. ამათგან ყოფილი ოფიცრები—4 პროცენტი, ძველი არმიის ყოფილი უმცროსი მეთაურთა შემადგენლობა—14 ნახევარი პროცენტი, ყოფილი ჯარისკაცები—18 პროცენტი, ისეთები, რომლებსაც სრულიად არ უმსახურიათ—63 პროცენტი. ჰასაკის მიხედვით: 23 წლისანი—25 პროცენტი, 24 წ.—40 პროც., 25 წლის—28 პროცენტი. თქვენ ხედავთ, რომ ყველაზე უფრო ახალგაზრდა ჰასაკი—23—24—25 წ. შეადგენს ამ ჯგუფში კომუნისტების სამ მეოთხედს. განა შეგვიძლია აქ ლაპარაკი ძველი გვარდიის რაიმე ბატონობის შესახებ? განა ჩვენ აქაც არ ვხედავთ იმავე სურათს, რაც სხვა დარგებში დავინახეთ, სახელდობრ იმას, რომ საუკეთესო ნაწილი, ახალგაზრდა თაობა, რევოლიუციის მიერ გამოკვეთილი, რომელთა გარეშე ვერავითარი მოხუცები პარტიაში პარტიას ვერაფერს ვერ მისცემდენ, კომუნისტების სამ მეოთხედს შეადგენენ ჩვენს წითელ არმიაშიც? ამ შემთხვევაში მწუხარების გამოთქმა გვმართებს არა იმის გამო, რომ პარტიულ მოხუცების რიცხვი დიდია წითელ არმიაში, არამედ უფრო ჩქარა, პირიქით.

მე ვფიქრობ, რომ ეს ციფრები საკმაოთ ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ჩვენი პარტიის, ჩვენი პარტიული კონფერენციის ხაზი ამ საკითხშიც იყო და დარჩება უაღრესად სწორი. მოვლენათა განვითარება გვანიშნებდა ჩვენ ზოგიერთ საფრთხეებს, რომელიც არის ჩვენი პარტიის ამ მოწაფე წევრებს შორის. კარგია, რომ ჩვენ დავინახეთ ეს საფრთხე: უკეთესია უფრო ადრე, ვიდრე გვიან. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ავუშალოთ ჩვენი პარტიის წევრების ამ ჯგუფს. არავითარ შემთხვევაში! დიაღ, ამრიგად ჩვენ ვხედავთ ასეთ ნათელ განაწილებას: მუშათა უჯრედები ყველა მსხვილ ცენტრებში მხარს უჭერენ ბოლშევიზმის ხაზს, ცენტრალური კომიტეტის ხაზს, უმაღლეს სასწავლებლებში კი ზოგჯერ—უმრავლესობა წინააღმდეგია. მე თვითონ გავიგონე, თუ როგორ ამბობდა რამდენიმეთ მკაცრად ერთი ძველი ბოლშევიკი მუშა: „раньше у нас говорили, что ребята бузят, а теперь приходиться говорить, что ребята вузят (სიტყვიდან „вузы“ უმაღლესი სასწავლებლები). ცოტათი სწყენოდა ძველ მუშა-ბოლშევიკების მთავარ თაობას, როცა ხედავდა ისეთ მდგომარეობას, როგორიც იყო ხამოვნიკებში და სხვა ადგილებში. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ ჩავიქნევთ ხელს და ვიტყვით: „они вузят, махнем на них рукой. არავითარ შემთხვევაში! ეს შეცდომა იქნებოდა. ჩვენ არ შეგვიძლია ხელის ჩაქნევა ჩვენი პარტიის წევრების ამ ჯგუფზე, ვერ დაუშვებთ იმასაც, რომ რამდენიმეთ დარჩეს მწარე გრძნობა მათდამი.

რა არის აქ საჭირო? საჭიროა ის, რაც გადასწყვიტა კონფერენციამ—სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა. ახსნა ახსნა, და კიდევ ახსნა.

რასაკვირველია, ამ ჯგუფის საგრძნობ ნაწილში უკვე ახლა მოხდა გარდატეხა, მეორეში ეს მოხდება, შესაძლოა, უფრო გვიან. მოვლენათა განვითარება, ზოგიერთ ჯგუფებს, სოციალურად ჩვენთან ყველაზე უფრო ნაკლებად დაკავშირებულებს, ალბათ ჩამოგვაცილებს ჩვენ. მაგრამ, გასაგებია, რომ პარტიის წევრების ჯგუფმა, რომელიც გამოვყავით ჩვენ, რათა ისწავლოს მან და შემდეგ იმუშაოს ჩვენი პარტიის რიგებში, საკმაო კეთილგანწყობილება და მოთმინება უნდა ჰპოვოს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მხრივ. საფრთხე გვენიშნა. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ტარდება ამ ფენის საშუალებით წვრილი ბურჟუაზიის გარემომცველი გავლენა. მაგრამ ამ შხამის წინააღმდეგ ჩვენ მივმართავთ საწინააღმდეგო საშუალებას, ჩვენ შევძლებთ საკმაო მოთმინებით, როგორც გვასწავლიდა ჩვენ ვლადიმერ ილიჩი, ამ ხალხს, რომელთაც, რასაკვირველია, ამოქმედებს კეთილი სურვილები, რომელთაც სურთ იყონ ბოლშევიკები, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებიათ, გახდენ ბოლშევიკებათ, შევძლებთ განუმარტოთ მათი შეცდომები. ასეთ მდგომარეობაშია ახალგაზრდობის საკითხი.

ჩვენ ძველებურათ ვიცავთ იმას, რომ ჩვენი პარტიის ღერძათ უნდა დარჩეს მუშაკების ის ჯგუფი, რომელსაც წილად ხვდა სამი რევოლიუციის გადატანა, ჩვენი პარტიის შექმნა, მუშა-ბოლშევიკების ის ხერხემალი, რომლებიც დაეხმარენ ვლად. ილიჩს ჩვენი პარტიის შექმნაში, რომელთაგან, რასაკვირველია, ნაწილი დაიღუპა, ნაწილი კი ცოცხალია. თქვენ იცით, რომ მათი დაფასება გვიხდება არა მარტო რაოდენობის მხრივ. თქვენ იცით ასეთი ძველი მუშის, ძველი ბოლშევიკის ფასი. ჩვენში ასეთი ფესვმაგარი მუშა-ბოლშევიკების ზოგიერთი რაოდენობა დაგვრჩა ცენტრებში. ჩვენ ამასთანავე ერთად ვგრძნობთ სავსებით, რომ ჩვენი პარტიის წევრების მთავარ მასას, რომელიც პარტიაში ოქტომბრის შემდეგ შევიდა, არა აქვს არალეგალური მუშაობის სტაჟი, მაგრამ აქვს მეორე სტაჟი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ნაკლებ მნიშვნელოვანად. მას აქვს სამოქალაქო ომის სტაჟი. ეს თაობა, გამოკვეთილი და გამობრძმედილი სამოქალაქო ომის ცეცხლში, გამოვიდა ქვედაფენებიდან და შესდგება საუკეთესო ხალხისაგან. ამ ორ თაობას შორის პარტიაში უნდა იყოს ერთგვარი პროპორცია, რომლის დაცვას ჩვენ თვალყურს უნდა ვადევნოთ. რომ ეს პროპორცია დაირღვეს, მაშინ რასაკვირველია ც. კ. და პარტიის მთელი მექანიზმი უნდა ამუშავდეს, რომ ეს პროპორცია აღადგინონ. მაგრამ ყველა ამ შეკრებილ ციფრებიდან აშკარაა, რომ ეს პროპორცია საერთოდ და მთლიანად დაცულია.

აი რატომ იყო ღრმად შემცდარი საქმის დაყენება ისე, თითქო მოსწავლე ახალგაზრდობა არის პარტიის ბარომეტრი, აი, თქვენ ხედავთ გარდატეხის მომენტს ჩვენი ქვეყნის და ჩვენი პარტიის ცხოვრებაში ვლადიმერ ილიჩის გარდაცვალების გამო. სად არის ნამდვილი ბარომეტრი? ბარომეტრი არის იმ მუშებს შორის, რომელიც მძლავრი ტალღით გაექანენ პარტიისაკენ. აი ეს არის მოძრაობა, რომელიც იძლევა პარტიის განახლების საშუალებას ზოგიერთი რევოლიუციონური ზომებით, რომელიც იძლევა თითქო ახალი პარტიის შექმნის საშუალებას. აი ნამდვილი ბარომეტრი ვინ არ ხედავს, რომ ეს არის ნამდვილი ბარომეტრი, რომელიც იძლევა ჩვენს ქვეყანაში კლასთა სწორი ძალთა განწყობილების გამორკვევას, რომელიც იძლევა საშუალებას დავინახოთ მაგრათ დგას თუ არა პროლეტარული დიქტატურა?

(შემდეგი იქნება).

მუშათა ცხოვრება

გერმანიის პროლეტარიატის სახელობის მუშათა კლუბში

აღნიშნულ კლუბში 20 იანვარს ამხ. ე. კულულაშვილის რეჟისორობით დაიდგა ა. ცაგარლის კომედია „ხანუმა“. მიუხედავათ იმისა, რომ ამ პიესას არ შეაქვს სახალხო სცენის თანამედროვე რეპერტუარში არავითარი ახალი, და ვერ შესძლებს თავის თავად დიდი საზოგადოების მიზიდვას, ამ საღამოს წარმოდგენას ხალხი აუარებელი დაესწრო, რაც შედეგია არა მარტო ამ პიესისადმი სიყვარულისა, არამედ საერთოდ აქაური ქართული დასის სისტემატიური კეთილსინდისიერი მუშაობისა. მართლაც, უნდა ითქვას, რომ დღიდან კლუბის გახსნისა, ყოველ კვირეულად იმართება აქ ქართული წარმოდგენები და ყოველი პიესის დადგმას ემჩნევა რეჟისორის ამხ. ე. კულულაშვილის მტკიცე ხელი.

ამხ. კულულაშვილს, როგორც სახალხო სცენის მოყვარეს და რეჟისორს კარგათ იცნობენ ჩვენი მუშათა რაიონები და კერძოთ დღეს სულს უდგამს ორთაჭალის ახლად ფეხზე დამდგარს ადგილობრივ მუშათა კლუბის სცენას; ის უანგაროთ, დაუღალავათ და სრულიად უსასყიდლოთ იბრძვის პატარა სცენაზე მუდამ დამაბრკოლებელ მიზეზებს და დადგმულ პიესებს მაინც აძლევს სერიოზულ განსახიერებას, რაც თავდებია იმისა, რომ მისი სცენისადმი სიყვარულით გამსჭვალული ენერგიული ხელი მკვიდრ ნიადაგზე დაამყარებს სამერმისოდაც სცენის საქმეს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ქართული დრამატიული წრე მიუხედავათ თავის შემადგენლობისა (მხოლოდ მუშა-მოსამსახურეებია) იჩენს დიდ ენერგიას და უნარს დრამატიულ დარგში და დაღლილ-დაქანცული მუშები მუშაობის და სადილობის შემდეგ უბრუნდებიან კლუბის დარბაზს რეპეტიციებზე, რაც გრძელდება 11—11 ნახ. საათამდე.

დღიდან კლუბის დაარსებისა აქ სისტემატიურათ იდგმება ქართულ-სომხური და ხანდახან რუსული წარმოდგენები, რაც საშუალებას აძლევს ხარფუხ-ორთაჭალის და ნაწილობრივ ავლაბრის მუშებს ოჯახითურთ ასკდენ დაშორებულ ცენტრს და ადგილობრივ მოიპოვონ კულტურული და სულიერი საზრდოთა სიტკბოება. ღირსაღსანიშნავია აგრეთვე საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის ამხ. ს. ტრდატიანის მოღვაწეობა ამ კლუბის გარშემო როგორც მისი ტეხნიკურათ გაფართოება-გამშვენიერების, ისე არსებულ წრეებზე ზრუნველობის მხრით.

ინფორმატორი.

ცეცხლის დროს არ იყო წყალი

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

მ. წ. 5 თებერვალს სახლს № 36—(ჩერქეზოვის ქუჩა) მოეკიდა ცეცხლი. ცეცხლი ავარდა ზევით სართულში და დროზედ რომ არ გაჩენილიყო ცეცხლის მქრობელი რაზმი, შესაძლებელი იქნებოდა, რომ სახლს ცეცხლი მოჰკიდებოდა და გაენადგურებინა. აქ ერთ ფრიად სამწუხარო გარემოებას ჰქონდა ადგილი; ამ სახლის ეზოში უკვე ერთი წელიწადი იქნება, რაც წყალსადენის მიერ დაკეტილია წყალი, რის გამოც მდგმურებიც დიდ გაჭირვებას განიცდიან. ამ დღეს კი საცოდაობა იყო პირდაპირ, როდესაც უყურებდი, რომ მუშებს თითო-თითო ვედრო წყალი მოჰქონდათ ახლო-მახლო სახლებიდან, და წვეთებით ასხამდენ ცეცხლს. ეს სახლი წინად ეკუთვნოდა მოქ. ქეთხუდოვს, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა სახლის საჭიროებას, მდგომარეობის მოთხოვნილებებს, მას ქალაქის აღმასკომმა ჩამოართვა ეს სახლი, მაგრამ არც ეხლაა კარგად საქმე, სახლს სჭირია შეკეთება, წყალსაზომის დადგმა, კვამლის სადენ მილების და ბუხრების გაწმენდა. ამ სახლში კი მოთავსებულია მე-9 სამილიციო რაიონის სამმართველო, მუშა-მოსამსახურენი და ღარიბი მოსახლეობა. ქალაქის აღმასკომს მართებს მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ გარემოებას და სათანადო ზომებიც მიიღოს ამ დეფექტების გამოსასწორებლად.

მუშკორი მელითონე.

კომუნალურ წყალსადენის მუშებში

ა. | წ. 29 იანვარს მოწვეულ იქნა წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა კრება. კრების მიერ ერთხმად არჩეულ იქნა თავმჯდომარედ—ამხ. გოგინაიშვილი და მდივნათ ამხ. ალ. ტიგიშვილი. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ამ. **ლენინს.**

დღის წესრიგი:

1) ადგილკომის მოხსენება თავის მოქმედებაზე; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) არჩევნები და 4) მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ლადო განგნიძე. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მთელი წლის განმავლობაში ადგილკომმა გაარჩია 129 ღირსშესანიშნავი საკითხი; სხდომები ხდებოდა ყოველ კვირა, ადგილკომის მიერ დარიგებულ იქნა მუშა მოსამსახურეებზე შეღავათიან ფასებში მანუფაქტურა, საპონი, ნავთი, შეშა და სხვა პირველ მოთხოვნილებათა საგნები; კულტურულ დარგში ადგილკომმა შესძლო სამიკიტნო-დუქნის კულტურულ ტაძრათ—კლუბათ გადაქცევა, სადაც მოეწყო რამდენიმე საღამო-წარმოდგენა; მუშებს ურიგდებოდათ წარმოდგენებზე დასასწრებლათ უფასო ბილეთები; მუშებს კოლექტიურ ხელის მოწერით მოსდით სხვადასხვა გაზეთები; გაზეთები მოსდის აგრეთვე საშეფო სოფელ ხაშმს; ადგილობრივ სამკითხველოს მოსდის თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთები, შეძენილია საკმაო რიცხვი პოლიტიკური წიგნებისა; მუშების შვილები, რომელთაც სკოლებში სწავლის მოწყობა უნდოდათ, გაგზავნილი არიან მაღლობელ შრომის სკოლებში. მოსკოვის სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნილ იქნა ამხ. მელაძე, რომელმაც დაბრუნებისას შინაარსიანი მოხსენება გააკეთა გამოფენის შესახებ; წყალსადენის მუშა-ავადმყოფნი გაგზავნილ იქნენ სააგარაკოდ საექიმო დახმარებით; მუშა-მოსამსახურენი ჩაწერილნი არიან მუშკოოპში წევრებად; ადგილკომი სხდომებს აწყობდა კულტკომისიასთან და ადმინისტრაციასთან, როდესაც ამას მოითხოვდა განსაკუთრებული საჭიროება, ადმინისტრაციასთან კონფლიქტი არ ჰქონიათ და საქმეებს სწყვეტდენ შეთანხმებით. დარიგებულ იქნა მუშებისთვის „სპეც-ტანსაცმელი“,—ამნაირად ადგილკომის მოქმედებას თუ რაიმე დეფექტები აქვს, არის დადებითი მხარეებიც. მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის წევრი ამხ. ბადრიძე. იგი თავის მოკლე მოხსენებით თითქმის ადასტურებს ადგილკომის მოხსენებას მის მუშაობის შესახებ ადგილკომის მოქმედების სცნობს დამაკმაყოფილებლად.

ადგილკომის წყალსადენის მუშებში კულტურულ მუშაობის შესახებ თანამომხსენებლად გამოდის ამხ. ალ. თავდგირიძე. იგი აღნიშნავს, რომ გარდა ზემოხსენებულისა, ადგილკომმა ჩაატარა აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის კამპანია.

შემდეგ ამისა შემოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება დამაკმაყოფილებლად სცნობს ადგილკომის მოქმედებას. შემდეგ მოხდა არჩევნები. კრების მიერ არჩეულ იქნენ **ადგილკომის წევრებად:** ამხ. ლ. გაგნიძე, გ. გოცირიძე და ალ. თავდგირიძე, მათ კანდიდატებათ: ახალბედაშვილი გ. და მეტრეველი გ. **სარევიზიო კომისიის წევრებად**—კამკამიძე, ტოგონიძე და ბარნაბიშვილი ალექსანდრე. **კულტკომისიის წევრებად:** თუშმალიშვილი მ. უმიკოვი გ. ვაჩნაძე, მიქაძე, გრ. შახნაზაროვი. არჩეულ იქნენ საქალაქო კონფერენციაზე დასასწრებლად წყალსადენის მუშა მოსამსახურეებისაგან 15 ამხანაგი.

დასასრულ გარჩეულ იქნა რამდენიმე წვრილი საკითხი და კრება დაიხურა.

მუშკორი ათ. განიძე.

ქალ. სურამის მუშათა კლუბში.

(ჩვენი სურამელ ინფორმატორისაგან)

სამშაბათს, 22 იანვარს შესდგა ქ. სურამის მუშათა კლუბის წევრთა საერთო კრება. კრებაზე თავმჯდომარეობდა ამხ. ივ. ბალანჩივაძე, მდივნობდა ვლ. ცაგურია. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება გამგეობისა თავის მუშაობის შესახებ, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) ახალი გამგეობის არჩევნები; 4) ახალი სარევიზიო კომისიის არჩევნები, 5) საწევრო გადასახადის გადიდება და 6) მიმდინარე საკითხები. გამგეობის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ზებო ზახაროვი, რომელმაც გააცნო კრებას, თუ როგორი მუშაობა მიმდინარეობდა ზაფხულის პერიოდში დღევანდლამდის. მოხსენებიდან გამოირკვა კლუბის გამგეობის მუშაობის ნაყოფიერება კულტურულ-ეკონომიურ დარგში სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს მიხეილ ვარსიმაშვილი, რომელიც აგრეთვე აცნობს კრებას სარევიზიო კომისიის მუშაობას და აღნიშნავს გამგეობის მუშაობას დადებით და უარყოფით მხარეებს. შემდეგ გაიმართა არჩევნები გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ალ. ბარბაქაძე, მიხ. ვარსიმაშვილი, პლ. გაგნიძე, ივ. ბალანჩივაძე და ზ. ზახაროვი. კანდიდატებად: ჯანიბახჩევა აშხენ და მიხეილ ქიტიაშვილი. სარევიზიო კომისიაში: ვლ. ცაგურია, გიორგი ლომსაძე და არჩილ ბირკაძე. კანდიდატებად: არ. ბაბაევი და ს. კუზანოვი საწევრო გადასახადი გადიდებულ იქნა თვიურად 5 კაპ. ჩერვონცით.

უსურვებთ ახალ გამგეობას ნაყოფიერ შრომას მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

ინფორმატორი ი. გაგოშიძე.

ნაძალადევს დაერქვით ლენინის უბანი

ყველამ კარგად იცის, თუ რა იყო მიზეზი მუშური უბნის ასეთ სახელად „ნაძალადევი“-ს წოდება. რად ერქვა ასეთ პატიოსან მუშათა უბანს ასეთი საძაგელი სახელი? ნუ თუ არ შეგვეძლო ჩვენ, რომ მეფის ბორკილებისთვის თან გაგვეყოლებია თავის „დანათლული სახელი“? მაგრამ, საუბედუროდ, დღემდის ყურადღება არავის მიუქცევია ამისთვის. ეხლა კი მოვიშორეთ ეს სახელი,—ის უკვე ძველ ნათლიას გაუგზავნეთ. ნაცვლად იმ სახელისა კი ჩვენ უბანს უწოდეთ ისეთი ბელადის სახელი, რომელსაც უყვარდა და კიდევაც თავი შესწირა ასეთ უბნებში მცხოვრებს მუშებს, ღარიბ-ღატაკ მოსახლეობას. დღეიდან ამ პატიოსან მუშის ოფლით შეძენილ უბანს ნაძალადევის ნაცვლად ერქმევა „**ლენინის უბანი**“. მუშას უყვარს თავისი საყვარელი ბელადი და მისთვის მას სურს, რომ მუდამ თავს დასტრიალებდეს მისი სახელი.

მუშკორი: ეკა.

მუშათა ქრონიკა.

კურსები მუშებისათვის. სტალინის კლუბთან მოეწყო საერთო განათლების კურსები, სადაც რკინისგზელ მუშა-მოსამსახურეებს და მათ ოჯახის წევრებს განურჩევლად წლოვანობისა შეუძლიანთ ისწავლონ უფასოთ. მსურველების ჩაწერა სწარმოებს პლეხანოვის თეატრის კანტორაში ტეხნიკურ მდივანთან.

— **გასართობი მუშებისათვის.** ახლად გახსნილ ამხ. სტალინის კლუბში მოეწყო ბილიარდი. არის აგრეთვე რამოდენიმე ნარდი. კლუბის წევრებს შეუძლიანთ უფასოთ თავი შეიქციონ ამ სათამაშოებით.

მუშკორი ეკა.

პროვინციაში

როგორ მიმდინარეობს მიწის მოწყობის საქმე დუშეთის მაზრაში

დუშეთის მაზრის ფარგლებში წარსულ წელს მიწის მოწყობის საქმე არ დამთავრებულა. ამის უმთავრესი მიზეზი იყო ჯერ მიწისმზომელთა რიცხვის სიმცირე (მაზრაში შარშან მუშაობდა სულ სამი კაცი) და შემდეგ ამ მაზრისვე სპეციფიური ხასიათის მიწის მფლობელობა და მეურნეობის განვითარების სირთულე, რომელიც გამოიხატება შემდეგში: ამ მაზრაში დაინახავთ კერძო მესაკუთრეობაზე დამყარებულ ხვნა-თესვით და უმაღლესი კულტურის მცენარეებით განვითარებულ მეურნეობას; ასეთი მეურნეობის რაიონებად ჩაითვლება მუხრანის, მჭადის-ჯვრის, ბაზალეთის და მცხეთის რაიონები. დაინახავთ აგრეთვე კერძო მესაკუთრეობაზე და თემურ მფლობელობას, სადაც განვითარებულია როგორც ხვნა-თესვა, ისე მესაქონლეობა; ასეთია ანანური, ფასანაური, მლეთა და ქინვალი. კიდევ დაინახავთ წმინდა თემურ მფლობელობას, მხოლოდ მარტო მესაქონლეობით განვითარებულს; ასეთია გუდაური, კობი, ყაზბეგი და გუდამაყრის ხეობა. ამნაირი არეული მეურნეობა და მიწით სარგებლობა აშკარად გვიკარნახებს, რომ აქ სოფლების ცალ ცალკე აგარაკებს თითქმის არავითარი სამზღვრები არ უნდა ჰქონდეს დადებული. ამ მხრივ წრევანდელმა მუშაობამ დაგვანახა, რომ დუშეთის მაზრის თითქმის ყველა სოფლები თვისი სამზღვრებით არეულ დარეული და შეჭრილ შემოჭრილია ერთმანეთში. მიწის მოწყობა რომ ჩატარდეს ამ მაზრაში, როგორც უკანასკნელი საფეხური აგრარული რეფორმის, საჭიროა პირველ რიგში თითეული სოფლის სამზღვრების გამორკვევა და დადება, რითაც ბოლო მოეღება ამ მაზრის სოფლებ შორის საშვილიშვილო დავებს საზღვრებზე. ამნაირი წესით, იქ, სადაც წმინდა ხვნა-თესვას ან წმინდა მესაქონლეობას მისდევენ, უნდა გამოიყოს სოფლები ცალკე აგარაკებათ. იქ, სადაც ეს ორი დარგი მეურნეობისა ერთნაირათ არის განვითარებული, ასეთ შემთხვევაში, სწორი მეურნეობის განვითარებისათვის, სახნავ-სათესი მიწები ნორმის ფარგლებში უნდა გამოეყოთ ცალკე ნაკვეთად და საძოვრები კი ცალკე. შემდეგ ასეთი წესით აგარაკების შემოფარგვლა-დაკეტვისა, ჩვენ მივიღებთ, კომლთა სივრცის რაოდენობის მიხედვით, თითეულ სოფელში განსაზღვრული რიცხვისა და მოსაზღვრეობის სოფლების აგარაკებს, რომლებშიაც იქნებიან მოთავსებული მშრომელი გლეხობა კომუნის წესით; ე. ი. ამა თუ იმ სოფლის მეკომურთ ნორმა მიეცემათ სოფლის განსაზღვრულ ფარგლებში საერთო მფლობელობისათვის. ტეხნიკურად კი, თითოეულის ცალკე ნორმა არ გამოიყოფა, სანამ თვით სოფელი არ მოითხოვს კომლეურად დაყოფას. მომავალი კომლეური დაყოფისათვის, დღესვე, სოფლების გამიჯვნისთანავე, იქნება თითოეული მეკომურის ნორმა შეტანილი საადგილ მამულო სიაში, ფორმა „მ“-ში. ამ წესით მიწის მოწყობას წელსვე შეუდექით და დავამთავრეთ კიდეც მუშაობა შემდეგ სოფლებში: კობში, ალმასიანში, ბაიდარში, არახვეთში, ქიქიან-წიფორში, ქავთარაანთკარში და ბახანში, რომელ სოფლების აგარაკების შეკვრის დროს გადაწყვეტილი იქნა სამი საშვილიშვილო დავა: პირველი ეგრედწოდებული აგარაკი „Белая речка“ ზომით 360 დეს. საძოვარი; მეორე „დიდველი“ ზომით 96 დეს, საუკეთესო სახნავათ ქცეული; და, მესამე, 12 დეს. სათიბი. პირველზე დაობდენ ბაიდარა, კობი და ალმასიანი. მიწის მოწყობის წესით სადაო ბელაიარეჩკიდან ნორმაში მიეცა ბაიდარლებს 38 დეს და ალმასიანლებს 322 დეს. დიდველი ნაწილობრივად 60 დეს. ფარგლებში გადაეცა არახვეთლებს. დანარჩენი, 36 დეს. საკითხი უნდა იქნეს მოგვარებული სოფელ ქვემო მლეთსა და ზაქათკარს შორის. 12 დეს. სათიბის შესახებ დავაზე სოფ. ბახანში მცხოვრებთ უარი ეთქვათ, რადგან თუმცა მათ ნორმა არ მოდით სრულათ, მაგრამ კომლთა რიცხვის მიხედვით მამული მეტი უჭირავთ, ვიდრე ქიქიან-წიფორლებს და ქავთარაანთ კარელებს და თვით ის სადაო ნაჭრები განწყობილია ს. ქიქიან-წიფორსა და ქავთარაანთ კარის აგარაკებთა შორის, რაც მიწის მოწყობის თვალსაზრისით ყოვლად დაუშვებელი იქნებოდა, რომ მათთვის ჩამოგვერთმია და ბაჩანლებისათვის გადაგვეცა. ზევით მოყვანილი მიზეზების გამო, უმთავრესი დავებია მოუგვარებელი ჯერ თვით სოფლებ შორის, რასაც მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს და მთელი ტეხნიკური ძალები ამ კითხვების მოგვარებას მოანდომოს. სამწუხაროდ, მაზრის ცენტრი შარშან მიწის საკითხის არსებითად მოგვარების საქმეში ძლიერ სუსტობდა. არ ვიცით, თუ როგორ მიმდინარეობს მიწის მოწყობის საქმე სხვა მაზრებში, დუშეთის მაზრაში კი პირველი და მთავარი საკითხია, რაციონალური მეურნეობის განსავითარებლათ, ჯერ სოფლებ შორის საზღვრების გასწორება-დადება და ამ წლით ორმოცდაათი წლობით სადაო საკითხების გადაჭრა და შემდეგ ცალკე მეკომურთა სურვილის მიხედვით, მათი ნორმების გამოყოფა. აქვე უნდა ითქვას, რომ პირველი საკითხის არსებითი მოგვარება ვითომ ცოტა ტკივილებს იწვევს, მაგრამ ეს დროებითი და ძლიერ უმნიშვნელოა.

რაც შეეხება სოფლებ შორის მიწის მოწყობის დამთავრებას, რომლის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ მიწის მოწყობის პროცესი დუშეთის მაზრაში უკვე შესრულებულია, ეს მორჩება წელს, თუ მაზრაში იმუშავებს მთელი ზაფხულის განმავლობაში არა ნაკლებ 10—12 მიწისმზომელისა.

დუშეთის მაზრის მიწათ მომწყობი მიწისმზომელი კ **ი. შალამბერიძე.**

ახუთის თემი (ზუგდიდის მაზრა)

ადგილობრივი ხალხი მოწყურებულია ცოდნას.

საჭიროა დაარსებულ იქნეს პოლიტიკური უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, მასთან სწარმოებდეს ბრძოლა წერაკითხვის უცოდინარობასთან.

თემში დაუღალავი მუშაკნი არიან: ანბ. ანბ. ილარიონ წურწუმია, სვიმონ ხუბუნაია და იოსები ჩიქაია. ხალხი მათ ნდობით ეპყრობა.

საბოლოოდ მოისპო ყაჩაღობა და ქურდობა. შესანიშნავად შეკეთებულ იქნა სოფლის გზები. არის კიდევ ორი შარა-გზა, რომელიც თემს აერთებს ახალ-სენაკსა და ბანძასთან. თემში არსებობს საფერშლო პუნქტი, სადაც ავადმყოფებს უფასოდ სინჯავს და რეცეპტებს უწერს პუნქტის გამგე. არის საბჭოთა აფთიაქი, სადაც ადგილობრივი პუნქტის რეცეპტებით შესაძლებელია ზოგიერთი წამლების შეძენა. მაგრამ წამლები ხელმიუწვდომელი ხდება ულარიბესი გლეხობისათვის.. ამიტომ დიდი შეღავათი იქნება, თუ ჯანმრთელობის ორგანო ამას მიაქცევს ყურადღებას და პუნქტის გამგის შემოწმებით მისცემს ულარიბეს გლეხობას უფასო წამლებს თემის აფთიაქიდან. თემში არის 6 ეკლესიის შენობა, რომელიც ხალხმა დიდი ხანია მიხურა. ხალხი დარწმუნდა თუ არა, რომ არავითარი ღმერთი არსებობს, ზიზღით იხსენიებს სარწმუნოებას და მღვდლებს. მაგრამ კიდევ არის დარჩენილი ზოგიერთი ცრუმორწმუნეობა, მაგალითად, ზოგიერთი გლეხი კიდევ არ ბედავს პარასკეობით ხვნა-თესვას და თიხნას, რაც დაუშვებელია. მღვდლები იხდიან ანაფორას, მაგრამ სამაგიეროდ ისინი ეპარებიან სკოლას მასწავლებლებად. ბავშვების აღზრდას ჩვენ მღვდლებს ვერ მივანდობთ. ამას ყურადღება უნდა მიექცეს, მღვდლები უნდა განიდევნონ სკოლებიდან.

თემმა კიდევ მენშევიკების დროს დაიწყო ჩხოროწყუს მიმართულებით ტელეგრაფის გაყვანა; დაამზადა სატელეგრაფო ბოძები და შეიძინა საკმარისი მავთული. მაგრამ საქმე მაშინ ვერ დამთავრდა რიგიანად და სატელეგრაფო ბოძები ისე ყრია და ლპება ურიგოდ. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ფოსტის კომისარიატმა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და ჩხოროწყუდან ახუთის თემში იქნეს გაყვანილი ტელეგრაფი. ახუთის თემი ამ საქმისთვის თავის მხრიდან არაფერს არ დაზოგავს.

ი. ჯაიანი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ გაზეთ „კომუნისტ“-ში შემდეგი ჩემი განცხადება: დავრწმუნდი რა მასში, რომ ერთად ერთი დამცველი მშრომელი ხალხის ინტერესებისა არის კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, დღეიდან ვსწყვეტ ყოველგვარ კავშირს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციასთან და სრულებით ვეერთდები ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა კონფერენციის დადგენილებას. ამიერიდან მთელი ჩემი ძალღონით მზად ვარ ვიმუშაო საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად.

ბესარიონ გიორგის ძე გვაზავა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 4

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ 1922 წლის ივლისის 11 თარიღითა და 11 ნომრით გამოცემული დეკრეტის-8 მუხლის განმარტებისათვის.

ვიდრე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე გამოიცემოდეს დეკრეტი საერთო კავშირის მოქალაქეობის შესახებ და რადგან საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ 1922 წლის ივლისის თარიღით და 11 ნომრით გამოცემული დეკრეტის 8 მუხლის შეფარდების დროს ამ მუხლის ახსნა-განმარტებამ დაბადა აზრთა წინააღმდეგობა, სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნული დეკრეტის განსამარტებლად ადგენს:

1. აღნიშნული დეკრეტის 8 მუხლის „ა“. პუნქტით, რომლითაც დადგენილია სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობაში გადასული პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა, არ არის გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის წესი.

2. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის წესი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობაში გადასვლის დროს მოითხოვს მოქალაქის წასვლას მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრებიდან და საბჭოთა მთავრობის ნებართვას მოქალაქეობიდან გასვლისათვის.

3. საქართველოს მოქალაქე ქალის მიერ უცხოელზე გათხოვების გამო საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა, რაც გათვალისწინებულია იმავე მუხ. „ბ“ პუნქტში, მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი ხსენებული დეკრეტის მე-2 მუხ. აღნიშნულ ვადაზე და წესით განაცხადებს, რომ სურს მიიღოს ქმრის მოქალაქეობა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე—ლ. ღოღობერიძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი

ალ. სალარიძე.

1924 წ. თებერვლის 5.
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ყველა ორგანიზაციებს და წიგნების გამომცემლობებს.

საქართველოს კომპარტიის ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა ორგანიზაციებს (პროფკავშირებს, ცეკავშირს და სხვ.) და წიგნების გამომცემლობებს ორი დღის ვადაში წარმოადგინონ სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ლენინის ბროშიურების გამოცემის საკუთარი გეგმა საერთო გეგმასთან შესათანხმებლად და დასამტკიცებლად.

ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ორაგველიძე

ხუთშაბათს, 14 თებერვალს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი იწვევს **კომუჯრედების ბიუროების და პასუხისმგებელ ხელმძღვანელების საერთო საქალაქო კონფერენციას.**

დღის წესრიგი:

1) მოხსენება სრულიად საკავშირო მე-13-ე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ. 2) დაზგასთან მომუშავე მუშების მიღების შესახებ პარტიაში. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.
საორგ. განყოფილების გამგე სტურუა.

არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 13 თებერვალს, საღამოს 6 საათზე პარტიულ კლუბის შენობაში შესდგება არსენალის რაიკომის კომუჯრედების ბიუროების, დელეგატების და მდივნების თათბირი

დღის წესრიგი:

1. ამხ. ჟურულაშვილის მოხსენება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მუშაობის შესახებ. 2. მიმდინარე საქმეები. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

მდივანი ნაზაროვი.

— ოთხშაბათს, 13 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ნაძალადევის თეატრში მოხდება ლენინის რაიონის (1 რაიონი) ყველა წევრებისა და კანდიდატების

საერთო სარაიონო პარტიული კრება.

სავალდებულოა დასწრება ყველა წევრებისა და კანდიდატებისა.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციის შესახებ, 2) მოხსენება საქართველოს საკონტროლო კომისიისა.

ლენინის რაიკომის მდივანი გოლდბაუმი.

ს. კ. პ. ცეკას სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა გამოცხადდენ ს. კ. პ. ც. კ-ში. 1) ატოევი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე. 2) აივაზოვი ნიკოლოზ ემელიანეს ძე. 3) ადამიძე თამარა ივანეს ასული. 4) ბუაჩიძე ანდრო გრიგოლის ძე. 5) გორგასლიძე თეოფანე ზოსიას ძე. 6) დივნოგორცევი დიმიტრი გრიგოლის ძე. 7) ვარდოიანი გიორგი თედორეს ძე. 8) იოანესიანი. 9) ყურულოვი გიორგი. 10) კაკაბაძე იოსებ პავლეს ძე. 11) მამულია ილია დიმიტრის ძე., 12) პენიაკოვა სარა გრიგოლის ასული. 13) რუბენი. 14) რუხაძე არჩილ გერმანეს ძე. 15) საყვარელიძე პავლე 16) სიხარულიძე ბიქტორ. 17) ტრაპაიძე ზებედი სამსონის ძე 18) ხლაიძე ნიკოლოზ ლუკას ძე. 19) ჯინჭველაშვილი შალვა პლატონის ძე. 20) თაქჩიევი სტეფანე ადამის ძე. 21) ქვანია ისაკი. 22) ავაქიანი არშაგირ. 23) თემურაგოვი სურენ.

ცეკას სააღრიცხვო განმანაწილ. განყ. გამგე: ა. ლიცინოვი.

საქართველოს საბჭოთა პარტსკოლების თათბირი.

— საქ. კომპარტ. ცენტ. კომიტეტი საბჭოთა პარტსკოლებში განვლილ მუშაობის შესამოწმებლად და სკოლების მშენებლობაში მომავალ ამოცანათა გამოსარკვევად, ამ წლის 15 თებერვალს **იწვევს საბჭოთა 1 და მე-2 საფეხურის პარტსკოლათა გამგეების თათბირს.**

თათბირის წესრიგი:

1. მოხსენება საქართველოს საბჭოთა პარტსკოლების შესახებ:
2. მოხსენებანი ადგილებიდან, შესრულებულ მუშაობის შესახებ.
3. საბიბლიოთეკო და საკლუბო მოღვაწეობა.
4. პოლიტგანათლება და პარტიული მუშაობა.
5 საკითხი ლექტორების შესახებ და სხვა.

წინადადება ეძლევა საბჭოთა პარტსკოლების ყველა გამგეებს ჩამოვიდნენ ამ თათბირზე და წამოიმძღვარონ ყველა მასალები, რაც კი ეხება საბჭოთა პარტსკოლების შინაგან ცხოვრებას, მის შემადგენლობას და სამოსწავლო მოღვაწეობას.

თათბირი გაიხსნება ც. კ-ტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ს. კ. პ. ც. კ-ტის მდივანი ქართველიშვილი.

ც. კ-ტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ორაგველიძე.

განცხადებები

საქართველოს სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს კომუჯრედი და ადგილკომი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგ-თანამშრომლებს, რომ ა. წ. 8 თებერვალს, დილის 11 საათზე უდროვოდ გარდაიცვალა ს. მ. უ. ს. სარყეო ტრესტის თანამშრომელი

ალექსანდრა კონსტანტინეს ასული

ცაგარელ--მნელაძისა

დაკრძალვა მოხდება 14 თებერვალს, დღის 3 საათზე, გამოასვენებენ გარდაცვალებულს ბინიდან, განოვის ქ № 3.

ნის. № 888 1—1

ღრმა მწუხარებით, მეუღლე ვარლამი, მამა კონსტანტინე, ძმ. გიორგი, და მარუსია, ბიძები და ბიცოლები, ბიძაშვილები, ახლობელი მეგობრები და ნაცნობები აცხადებენ უდროვოდ დაკარგვას საყვარელი

ალექსანდრა კონსტანტინეს ასული

ცაგარელი-მნელაძისა

განსვენების დღე 14 თებერვალი დღის 3 ს. განოვის ქუჩა, № 3 ვერის სასაფლაოზე.

11 თებერვალს გარდაიცვალა ტფილისის საბრეშუმო სადგურის თანამშრომელი

ქსენია გიორგის ასული

ჭილაშვილი

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ძმები ალექსი და ივანე გიორგის-ძენი, რძალი ეკატერინე გრიგოლის-ასული და ძმისწული თამარ ჭილაშვილები. გამოსვენება დღეს, ოთხშაბათს, 13 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე მიხეილის საავადმყოფოთან ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე 530—1—1

ტფილისის საბრეშუმო სადგურის მუშა მოსამსახურენი მწუხარებით აცხადებენ ამავე სადგურის თანამშრომელ

ქსენია გიორგის ასულ

ჭილაშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 თებერვალს 4 საათზე, მიხეილის საავადმყოფოდან.

ვ. ი. ლენინის სახელობ.
სახალხო აკადემიური
ოპერის თეატრი

ნის. 894 2—1

ხუთშაბათს, 14 თებერვალს
საქართვ. წითელი ჯვრის
წარმოდგენა
ჯამბაზები
ლიდია სემეონოვას პირველი
გამოსვლისათვის შესრულებული იქნება
ბალეტის დიდი დივერტისმენტი
მ. გ. დიკოვსკის ხელმძღვანელობით

ტფილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, ა. წ. 14 თებერვალს, დღის 12 საათზე აღმასკომის ბინაზე მის მიერ დანიშნულია ქალაქ ტფილისში მდებარე შემდეგი ბაღების იჯარით გაცემის

საჯარო ვაჭრობა

1. ბაღი ყოფილი „ედემი“ ვერაზე.
2. ბაღი ყოფილი არზუმანოვის—რეიტერის ქ. (ნავთლუღი).
3. დეკორატიული ბაღი ყოფილი კარაპეტიანცისა,—პლეხანოვის პრ. № 65.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ—საჭიროა საწინდარი ერთი ჩერვონეცი.

890—1—1 განყოფილების გამგე—ჯაფარიძე.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1924 წლის 17 თებერვალს უნივერსიტეტის მთავარ შენობაში მოხდება სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს საჯარო საზეიმო სხდომა დამსახურებულ პროფესორის ქიმიის დოქტორის

პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილის

50 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის პატივსაცემად. სხდომაზე შესვლა მხოლოდ შესასვლელი ბარათებით შეიძლება. იმ დაწესებულებათ, რომელთაც სურთ მიიღონ იუბილეუმში მონაწილეობა, კეთილ ინებონ და ჩაეწერონ საიუბილეუმო კომისიის თავმჯდომარე პროფ. ა. დიდებულიძესთან 12, 13, 14, 15 თებერვალს საღამოს 6 საათზე ფიზიკის ლაბორატორიუმში. (მთავარ შენობაში).

№ 889. 1—1

საქართველოს ს. მ. უ. ს. საზომ-საწონთა პალატა

დამატებით 1924 წლ. იანვრის 25 და 31-ან გაზ. „ზარია ვოსტოკაში“ (№№ 485 და 491) და იმავ რიცხვიდან გაზ. „კომუნისტში (№№ 20 | 872 და 25 | 877) გამოქვეყნებულ განცხადებისა წინადადებას აძლევს ყველა, განურჩევლივ სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და პირთ, რომლებსაც

სასინჯავათ და დაღის

დასმისათვის მოეპოვებათ სასწორები და ზომების (დაღიანი და უდაღო 1922 წლამდე) წარმოადგინონ ამნაირები დანიშნულ ვადებში უშუალოდ ს. მ. უ. ს. საზომ-საწონთა პალატაში სათანადო გასასინჯავათ და დაღის დასასმელად.

ამასთანავე პალატა ღიზულობს თავის სახელოსნოებში სასწორების და ზომების შეკეთებას. მისამართი: პლეხანოვის პროს. № 117.

საქართვ. ს. მ. უ. ს. საზომ საწონი პალატის უფროსი გოცირიძე.

უფროსი შემმოწმებელი სმირნოვი.

2—2 ნის. № 886

დაკარგა ბირჟის ქაღალდი და დამზღვევი კასის მოწმობა მიხეილ გვანცელაძე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 № 529

დაკარგა რკინისგზელების კავშირის საწევრო წიგნაკი № 213 | 409,164 | 2664. ალექსანდრე მესხიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. № 528 1—1.

დაკარგა პირადობის მოწმობა № 113, გაცემული ქუთაისის მე-5-ე კომისარიატის მიერ იონა სიმონის ძე ჯიქიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად № 527 1—1

სრულიად რუსეთის სამკ. მრეწველობის სინდიკატის
ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილება
„სინდშვეიპრომ“ და „აზოდეჟდა“
ყველას აძლევს საშუალებას მოირთონ ტანთსაცმელთა მაღაზიებში
თავისი დამზადებულ საქონლით.

ტფილისი: რუსთაველის პროსპექტი № 10 ტელ. № 6—78.
ბაქო: 28 აპრილის ქუჩა, ყოფილი ტელეფონის, № 6—1, კრივაია № 2.

მუშებსა და მოსამსახურეებზე კოლექტიურად ნისიად გაცემა
ყველა დაწესებულებებს, პროფკავშირებს, სამხედრო ნაწილებს, კოოპერატივებს შეუძლიათ
შეიძინონ 25-30 პროც. დაკლებით ნისიად ოთხი თვის ვადით საჭირო
დამზადებული ტანსაცმელი განუსაზღვრელ რაოდენობით.

დაწვრილებით ადგილობრივ. ✕ ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილების გამგე: ზ. გაჯიევი.
კრ. 873 4—4. ტფილისის განყ. გამგე: ძანდე.

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.